

დავით ფანცულაია

**მთიან პირობებში რკინიგზების კომპლექსური
პროექტირებისა და მშენებლობის პრობლემები და მათი
გადაწყვეტის გზები**

წარმოდგენილია ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივლისი, 2014 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამშენებლო ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით დავით ფანცულაიას მიერ შესრულებულ სადოქტორო ნაშრომს დასახელებით:

მთიან პირობებში რკინიგზების კომპლექსური პროექტირებისა და მშენებლობის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.

და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

2014

ხელმძღვანელი: ენვერ მოისწარაფიშვილი

რეცენზენტი: თამაზ ჭურაძე

თამაზ შილაკაძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: მარინე ჯავახიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2014 წ

ავტორი: დავით ფანცულაია

დასახელება: მთიან პირობებში რკინიგზების კომპლექსური პროექტირებისა და მშენებლობის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.

ფაკულტეტი : სამშენებლო

ხარისხი: ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პროცენტების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომში ემდგინება მთიან პირობებში რკინიგზების კომპლექსური პროექტირებისა და მშენებლობის პრობლემებს და მათ გადაწყვეტის გზებს.

რკინიგზები ჩვენი ქვეყნის ერთიან სატრანსპორტო სისტემის ერთ ერთი მთავარი შემდგენელი ნაწილია. საქართველოს რკინიგზებზე მოდის ქვეყნის სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების ნახევარზე მეტი და ამიტომაც მათ განვითარებას საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს.

რადგანაც საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირება, აზია-ევროპის დამაკავშირებელ Traseca-ს საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის სახით ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს, აქტიურად მიმდინარეობს აგრეთვე ბაქო-თბილისი-ყარსის საერთაშორისო რკინიგზის მშენებლობა. ბაქო - თბილისი ყარსის რკინიგზის საქართველოს ნაწილის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულება), რთულ სამთო და გეოლოგიურ პირობებში განლაგების გამო, მშენებლობის წარმატებით განხორციელებისათვის გარდაუვალი ხდება კომპლექსური პროექტირებისა და მშენებლობის აუცილებლობა. პროექტირებისა და მშენებლობის პერიოდში პროექტის რისკების, გადახრების შეფასებისა და მართვის სისტემის უახლესი მეთოდების დანერგვა, რომლის შედეგად მინიმუმადე უნდა იქნას დაყვანილი მათი განვითარების პროცესები.

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს რკინიგზების მშენებლობის გამოცდილება. შესწავლილია სამთო პირობებში არსებული რკინიგზების გაძლიერებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები.

განხილულია სსდ პირდაპირი ფუნქციები, მიმოხილულია სატრანსპორტო საერთაშორისო დერეფნების ჩამოყალიბების ისტორია და ღონისძიებები, პანევროპული დერეფნების მარშრუტები, მათი მნიშვნელობა საქართველოს სატრანსპორტოს სისტემის განვითარებაში, გაანალიზებულია ОСЖД წევრი ქვეყნების მიერ გატარებული ღონისძიებები საერთაშორის დერეფნებში მგზავთა გადაყვანის და ტვირთბრუნვის გაზრდის ასამაღლებლად. აღწერილია სატრანსპორტო დერეფნებში საქართველოს სატრანსპორტო სისტემის როლის გაზრდის ალტერნატივა, თურქეთის, რუმინეთის და ბულგარეთის საზღვაო პორტებთან სარკინიგზო საბორნე გადასასვლელის გახსნის შემთხვევაში. მათი მომსახურე ტერმინალების ინფრასტრუქტურის მოწყობის ძირითადი პირობები.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია მთიან პირობებში რკინიგზების კომპლექსური დაპროექტებისა და მშენებლობისადმი

წაყენებული სპეციფიკური მოთხოვნები და მათი გადაწყვეტის გზები. განხილულია რკინიგზის ექსპლუატაციაში გაშვებისათვის თავდაპირველი სიმძლავრის, მშენებლობის ეტაპებად დაყოფის და საინჟინრო გადაწყვეტილებების ტექნიკურ ეკონომიური შეფასების საკითხები, რომელიც პროექტირების პროცესის ერთ ერთ უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს.

ნაშრომში განხილულია, რკინიგზების მშენებლობის ეტაპზე გარემოზე პოტენციური ზემოქმედების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია, სამეურნეო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების, მცენარეთა საფარის და ფაუნის სახეობის, ახლომდებარე სოფლებზე გამოწვეული ზემოქმედების შედეგად. რკინიგზის მიწის ვაკისის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებამდე მოხსნილი ნაყოფიერი ნიადაგის ფენის დასაწყობების, დასაქმებული პერსონალის უსაფრთხოებაზე ნეგატიურ ზემოქმედების რისკები, და სამშენებლო ნარჩენებით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები.

დისერტაციაში გაანალიზებულია პროექტის, კერძოდ კი მიწის ვაკისის განივი კვეთების რაციონალური მოწყობის ვარიანტების შერჩევა ძლიერ თოვლცვენის უბნებზე, არსებული ინფორმაციის და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. ამ საკითხის გადასაწყვეტად კომპლექსურ მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ პროექტის მიერ დასახული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდეს თოვლის ნამქერის შეჩერებას არა მარტო ლიანდაგის პირას, თოვლდამცავი ნაგებობების და ნარგავების მოწყობით, არამედ უშუალოდ რკინიგზის ხაზზეც (ჭრილების გაფართოება, ჭრილებში თოვლშემგროვებელი თაროების მოწყობა, ხაზის მეტი წილის ყრილზე დაპროექტება, თოვლდამცავი გალერეების მოწყობა და სხვა). ნაშრომში დამუშავებულია მიწის ვაკისის ტანში ძაბვების გავრცელების მუშა ზონების საზღვრების დადგენის მეთოდი.

მთიან პირობებში მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გაანალიზებულია, სამთო რკინიგზების რთული რელიეფური, კლიმატური და მოძრაობის განსაკუთრებული რეჟიმები. განსაკუთრებული რეჟიმი კი ძირითადად გამოიხატება მატარებელთა რეკუპერაციული დამუხრუჭების მოძრაობის რეჟიმებში. გაჭიანურებულ ქანობების არსებობა აწესებს დამატებით შეზღუდვებს ხაზის გამტარუნარიანობისათვის, მატარებლების უსაფრთხოდ მოძრაობის უზრუნველსაყოფად ხაზის გამტარუნარიანობის შეზღუდვაზე, ასევე გავლენას ახდენს სიმაღლეთა ვარდნის შესაბამისად კლიმატური ზონების ცვალებადობაც.

ასეთ შემთხვევაში სამთო რკინიგზებზე მატარებლების მოძრაობის რისკების დონის ადეკვატურად შეფასების და მისი მართვის მიზნით ნაშრომში შემუშავებულია ერთიანი პრინციპები და ამ პრინციპების განმასაზღვრელი წინაპირობები მართვადაკარგული მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სასაზღვრო შეპირაპირების სადგურის კომპლექსური პროექტირების პრინციპები. სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული შეპირაპირების სადგურის მთელი მოწყობილობების ერთიან კომპლექსში პროექტირების არსზე, რომელიც უზრუნველყოფს რაციონალურ ტექნოლოგიური პროცესებს, მატარებლების მიღება გაგზავნის დაჩქარების პირობებს და ვაგონთ ნაკადის სწრაფ გადამუშავებას.

დისერტაციაში მოცემულია გაჭიანურებულ ქანობებზე რკ/ბეტონის შპალებზე, ადგილობრივ პირობების შესაბამისად გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის ალუმინო თერმიტული შედუღების მეთოდით, მოწყობის მეთოდიკა, მისი მუშაობის თავისებურებანი რთული გეგმისა და პროფილის შემთხვევაში, რეკუპერაციული დამუხრუჭების და ქვიშით დაჭუჭყიანების უბნებზე. რკინიგზების პროექტირებისას, როგორც წესი ლიანდაგის ზედა ნაშენის ტიპის შერჩევა ხდება ტიპიური ნორმატივების შესაბამისად. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ეს მეთოდიკა პრაქტიკულად საქართველოს რკინიგზის სადელტეხილო უბნებზე, უპირაპირო ლიანდაგის მოწყობის პირველი მცდელობაა და ეს მცდელობა წარმატებით ხორციელდება მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის რკინიგზის მონაკვეთზე. მოცემულია გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის მდგრადობის და მოწყობის მათემატიკური მოდელი. საქართველოს რკინიგზის ყველა რეგიონისათვის შედუღებული სარელსო გადაბმების ლიანდაგში ჩამაგრების ტემპერატურული რეჟიმის რუქა.

აღნიშნული საკითხები სასიცოცხლოდ აუცილებელია მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთის კომპლექსური პროექტირებისა და მშენებლობისათვის მისი მთიან პირობებში განლაგების გამო.

საპროექტო გადაწყვეტილებების მიღება ყველა შემთხვევაში დამოკიდებულია ინჟინერ - დამპროექტებელის კვალიფიკაციაზე, მის პროექტისადმი შემოქმედებით მიდგომაზე სამთო რკინიგზების კომპლექსური პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად.

Abstract

Dissertation is devoted to the problems of railway complex design and construction in mountainous conditions and ways of their solutions.

The railways are one of the main components of our country's integrated transport system. Georgia railways shares more than half of the country's passenger and freight transportation and therefore the more attention require to be paid for their development.

As the functioning on territory of Georgia of the connecting Asia - Europe international transport corridor as Traseca International transport corridor represents a guarantee for the country's economic and political stability, as well as is actively being the construction of Baku - Tbilisi - Kars International Railway. The part of Baku - Tbilisi Kars railway Marabda - Akhalkalaki - Kartsakh (direction to Turkey border), due its location in complex mountainous and geological conditions, for successful execution of construction becomes inevitable necessity of complex design and construction. During the period of design and construction the assessment of project risks, deviation as well as implementation of the latest methods of management system, as result of that should be minimized their development processes.

In the dissertation work is analyzed the experience of Georgia railway construction. In the mountainous conditions measures for the strengthening and rehabilitation of existing railways are investigated.

Are considered the international transport corridor's direct functions, reviewed the history and formation of international transport corridors, pan-European corridors routes, their importance on the Georgia transport system development, are analyzed carried out by OCЖД Member States measures for increase of passenger and freight transportation in international corridors. Are described alternatives of increase the role of the Georgia transport system in the transport corridors, in the case of connecting with Turkey, Romania and Bulgaria's seaports railway and ferry crossings functioning, the basic conditions of arrangement of their terminal maintenance and infrastructure.

In the dissertation work are considered the railways complex design and construction specific requirements in mountainous conditions and ways of their solutions. At railway launch in operation issues of initial capacity, division of construction on stages and technical and economic assessment of engineering solutions that represents one of the main part of the design process are considered.

In the work is considered on railway construction phase the risks of potential environmental effects and their accordingly mitigation measures that are connected to caused due industrial and rainfall run-off water influence on plant cover and fauna species, as well as on surrounding villages. The risks of negative influence on storage of removed prior to preparation of railway roadbed fertile soil layer, employed personnel safety and measures to reduction of impacts of construction waste.

In the dissertation is analyzed the selection of options of project, in particular, the rational arrangement of roadbed cross-section at heavy snow spans, based on current information and practical experience. To complex approach to resolve this issue consists in the fact that the project's planned activities will be ensure a snowdrifts mitigation not only at the rail track edge, by snow protection structure and plants arrangement, but direct on railway line (expand of trenches, arrangement of snow collecting flanges in trenches, planning of railway mostly on roadbed, arrangement of snow protective galleries and others). In the work is developed the

method of definition in body of roadbed of boundaries of stress distribution operating areas.

In the mountainous conditions for providing of train safety are analyzed the special modes of mountainous railways complex relief, climate and traffic conditions. A special mode is mainly revealed in the regenerative braking modes at train's movement. The existence of prolonged slopes imposes additional constraints on the railway line capacity, on limitations of railway line capacity for the safe movement of trains, also is affecting variability of climate zones in accordance with the height variation.

In this case, for the providing of safe movement of trains on mountain railways in order to adequately assessment of risk level and its control in the work are developed unified principles and preconditions of these principles definition to ensure safety of losses control train traffic.

In the dissertation work are considered the complex design principles of boundary docking stations. Among other issues the significant attention being paid to essential of docking stations entire equipment complex design that ensures efficient production process, making carriers to accelerate the processing conditions and the rapid handling of cars traffic volume.

In the dissertation is stated on prolonged slopes on reinforced concrete sleepers the application in accordance with local conditions the method of span length continuous welded rail by Aluminum thermal method, the features of its behavior in the case of complex plan and profile, on the regenerative braking and sand pollution areas. At railways design, usually the selection of rail superstructure is carried out according to the typical normative rules. With taking into account of local conditions this methodology practically is the first attempt to arrange continuous welded rail on Georgia railway passing spans and this attempt has been successfully implemented in Marabda - Akhalkalaki - Kartsakh railway section. Is stated the span length continuous welded rail stability and arrangement mathematical model. For all regions of Georgia railway in welded rail junction fixing temperature mode map.

These issues are fundamental to the Marabda - Akhalkalaki - Kartsakhi section complex design and construction due its location in mountainous conditions.

In all cases, the design decisions making is depending on engineer - design qualification, his creative approach to the mountain railway project in its complex design and construction process for making optimal decisions.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალ -----	13
თავი 1. ამოცანის დასმა და არსებული ლიტერატურის მიმოხილვა -----	16
1.1. ამოცანის დასმა -----	16
1.2. არსებული ლიტერატურის მიმოხილვა -----	22
1.2.1. ზოგადი მიმოხილვა -----	22
1.2.2. სატრანსპორტო საერთაშორისო დერეფნების ჩამოყალიბების ღონისძიებების მიმოხილვა -----	22
1.2.3. საქართველოში სამთო რკინიგზების კომპლექსური პროექტირების და მშენებლობის მოკლე ისტორია -----	28
1.2.4. ბაქო - თბილისი - ყარსის რკინიგზის დაპროექტებისა და მშენებლობის ისტორია-----	29
1.2.5. საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების მნიშვნელობა საქართველოსთვის -----	32
1.2.6. სატრანსპორტო დერეფნების ეკოლოგიური ასაფექტები -----	42
თავი 2. შედეგები და მათი განსჯა -----	45
2.1. რკინიგზების ფუნქციონირებისათვის საიმედოობის უზრუნველყოფის საკითხები პროექტირებისა და მშენებლობის სტადიაზე -----	45
2.2. მთიან პირობებში რკინიგზების კომპლექსური დაპროექტებისა და მშენებლობისათვის წაყენებული სპეციფიკური მოთხოვნები -----	53
2.2.1. მიწის ვაკის ტანში ძაბვების გავრცელების მუშა ზონების საზღვრების დადგენა -----	56
2.3. მთიან პირობებში რკინიგზების დაპროექტებისა და მშენებლობის პრობლემები მათი გადაწყვეტის გზები -----	58
2.3.1. ზოგადი დებულება -----	58
2.3.2. თურქეთიდან მიღებული პროექტის კორექტირების საკითხები -----	60
2.4. მთიან პირობებში საპროექტო რკინიგზების საანგარიშო სიმძლავრის განსაზღვრის თავისებურებანი ტექნიკურ ეკონომიური ასპექტები -----	64

2.5.	მთიან პირობებში სასაზღვრო სატვირთო სადგურის კომპლექსური პროექტირების თავისებურებანი -----	68
2.6.	მთიან პირობებში ერთლიანდაგიანი რკინიგზის ხაზზე მატარებლების მოძრაობის ორგანიზაციის თავისებურებანი -----	73
2.7.	მთიან პირობებში ლიანდაგის ზედა ნაშენის ტიპის შერჩევის და მისი პროექტირების თავისებურებანი -----	79
2.8.	უპირაპირო ლიანდაგის ჩასახვის და განვითარების ისტორია -----	84
2.8.1.	გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის უპირატესობა -----	86
2.8.2.	«Pandroll Fastklipis» -ის სარელსო სამაგრებიანი რკ/ბეტონის შპალების ტექნიკური მახასიათებლები და ანალიზი(შედარება სხვა ტიპის სამაგრებთან) -----	88
2.8.3.	P 65 და UIC 60 ტიპის რელსების ტექნიკური პარამეტრების შედარება -----	92
2.9.	თერმიტული შედუღების მეთოდი, გამოგონების და განვითარების ისტორია -----	97
2.10.	გადასარბენის სიგრძის უპირაპირო სარელსო გადაბმების მოწყობა თერმიტული შედუღების მეთოდით -----	102
2.10. 1.	გადასარბენის სიგრძის უპირაპირო სარელსო გადაბმების მოწყობის პირობები -----	105
2.10.2.	გადასარბენის სიგრძის უპირაპირო სარელსო გადაბმების მოწყობის სამუშაოების თანმიმდევრობა -----	105
2.11	ლიანდაგის ზედა ნაშენის გაანგარიშება მდგრადობაზე-----	110
2.11.1.	საქართველოს რკინიგზაზე წლიური ტემპერატურული ამპლიტუდის რუკის შედგენა -----	118
2.12.	გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის მოვლა შენახვის ძირითადი პრინციპები -----	121
2.13.	რელსების შედუღებისას მასიურად დაზიანებული ადგილების ამოჭრის და სარელსო გადაბმების გამთლიანების ღონისძიებები-----	123
2.13.1.	უპირაპირო სარელსო გადაბმებზე დეფექტების ლიკვიდაციის სამუშაოების ზოგადი მოთხოვნები-----	128
	დასკვნები და წინადადებები-----	129
	გამოყენებული ლიტერატურა-----	132

ცხრილების ნუსხა

1. სატრანსპორტო საერთაშორისო დერეფნების ჩამოყალიბებისათვის ლონისძიებების მიმოხილვა -----	23
2. პანევროპული სატრანსპორტო დერეფნების მიმართულებები-----	24
3. მარაბდა - ახალქალაქი - კარწახი - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულებით რკინიგზის ხაზის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობის სამუშაოების ეტაპები-----	67
4. მარაბდა - ახალქალაქი - კარწახი - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულებით რკინიგზის ხაზის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობის სამუშაოების კაპიტალდაზღვრების პროცენტული მაჩვენებლები -----	68
5. მატარებლების მოძრაობის რეჟიმებში ვაგონების ავტოგადაბმულობის დონეებსა და ღერძზე მოსული დატვირთვების მაქსიმალური სხვაობები-----	76
6. «Pandrol fastklipi»-ის და «KB» ტიპის სარელსო სამაგრების ტექნიკური მახასიათებლები -----	91
7. P-65, P-50 და UIC 60 ტიპის რელსების ტექნიკური მაჩვენებლები -----	94
8. რელსის ტიპის და ლიანდაგის გეგმის გამათვალისწინებელი პარამეტრები-----	113
9. რელსის საანგარიშო ტემპერატურის ცხრილი საქართველოს რკინიგზის ქსელებისათვის -----	119
10. შემოთავაზებული მეთოდით სამუშაოების შესრულების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა დღგ-ს გარეშე -----	124
11. დეფექტების ლიკვიდაციის სამუშაოები - პირველი მეთოდი -----	125
12. დეფექტების ლიკვიდაციის სამუშაოები - მეორე მეთოდი -----	126
13. დეფექტების ლიკვიდაციის ვარიანტები -----	127

სურათების ნუსხა

1. ევროპის სატრასპორტო დერეფნების ქსელის სქემა -----	26
2. ტრანს აზიური სარკინიგზო ქსელის სქემა -----	26
3. საქართველოს რკინიგზის უბნების ექსპლუატაციაში შეყვანის თარიღები -----	29
4. ტიფლისი - ყარსის რკინიგზის პროექტი -----	30
5. მიხაილოვო - ბორჯომი - ახალციხე - ყიზილ - რიჩი - ალექსანდროპოლი - ყარსის ვარიანტი -----	31
6. კომპანია «Укрძेरри»-ის მარშრუტების სქემა შავ ზღვაზე -----	41
7. ძაბვების ცვალებადობის გრაფიკი ყრილის სიღრმესთან დამოკიდებულებით -	56
8. ყრილის ფერდოში დინამიკური ძაბვების გავლენის საზღვრები -----	57
9. დინამიკური ძაბვები ორლიანდაგიან ყრილებში შემხვედრი მატარებლის ერთდროული ზემოქმედების შემთხვევაში -----	58
10. მიწის ვაკისის განივი პროფილის სქემა, აქტიურად დანამქვრად ადგილებში -	64
11. მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის ეტაპებად დაყოფის გეგმა -----	67
12. რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმში მოძრავ შემადგენლობაში განვითარებული გრძივი ძალები -----	75
13. რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმის უბნებზე ლიანდაგის ზედა ნაშენის დაზიანების შედეგები -----	80
14. შრომის ფაქტიური დანახარჯი კაც დღე 1-კმ-ზე წელიწადში -----	81
15. «Pandrol fasklip» - ის სისტემის სამაგრი -----	88
16. გოგორწყვილის კონტაქტი რელსის თავთან -----	95
17. დანახარჯები რელსების ტიპების შესაბამისად -----	96
18. P-65 და UIC 60 ტიპის რელსების განივი კვეთი -----	97
19. ტიგელი -----	101
20. «Vortok International»- რელსის გადასაგორებელი გორგოლაჭები -----	108
21. ტემპერატურულად დამაბული უპირაპირო ლიანდაგის მუშაობის ტემპერატურული დიაგრამა -----	116
22. უპირაპირო ლიანდაგის მუშაობის ტემპერატურული დიაგრამა, ტემპერატურული ძაბვების სეზონურად განმუხტვა -----	117
23. საქართველოს რკინიგზის წლიური ტემპერატურული ამპლიტუდის რუკა -	120
24. რელსებში დამაბულობის კონტროლის ელექტრონული სისტემის მოწყობილობა -----	121
25. რელსებში დამაბულობის კონტროლის ელექტრონული სისტემის ელექტრო კვების ბლოკი -----	122

შესავალი

პოლიტიკურ ეკონომიური კავშირების გაღრმავება ქვეყნებსა და რეგიონებს შორის მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციისათვის მოითხოვს სატრანსპორტო კავშირების მაქსიმალურად განვითარებას.

რეგიონების ეკონომიკის განვითარებისათვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე პირობებში გულისხმობს ცელკეული ქვეყნების სატრანსპორტო სისტემების განვითარებას და მათ შერთებას ახალი სატრანსპორტო დერეფნებთან.

სატრანსპორტო ქსელების განვითარების საფუძველს კი წარმოადგენს გაზრდილი საერთაშორისო გადაზიდვების პირობების გათვალისწინებით ახალი რკინიგზების მშენებლობა და არსებული რკინიგზების რეკონსტრუქცია. ეს სამუშაოები საკმაოდ კაპიტალდაბანდებანია, ძვირია და მოითხოვს შესრულების დიდ დროს.

რკინიგზები ჩვენი ქვეყნის ერთიან სატრანსპორტო სისტემის ერთ ერთი მთავარი შემდგენელი ნაწილია. ის ასრულებს უდიდესი მოცულობის გადაზიდვების სამუშაოებს, უზრუნველყოფს საიმედო და ეკონომიურ კავშირებს, როგორც ქვეყნის რეგიონებს ასევე აზიასა და ევროპას შორის. საქართველოს რკინიგზებზე მოდის ქვეყნის სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების ნახევარზე მეტი და ამიტომაც მათ განვითარებას საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს.

სამწუხაროდ გადაზიდვების პროცესების მაჩვენებლები საქართველოში გაცილებით ჩამორჩება მსოფლიო დონეს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ტრანსპორტის სისტემაში არსებობდა ერთიანი სატრანსპორტო მოცულობითი სივრცე ერთიანი ტექნიკური საშუალებებით, კონკრეტული ტექნიკური და სოციალური პოლიტიკით. თანამედროვე პირობებში გეოპოლიტიკური სიტუაციის

ცვლილების შედეგად საქართველოს რკინიგზაზე ეს პირობები სამწუხაროდ ვერ იქნა შენარჩუნებული.[1]

სხვა ზოგადი მიზეზების გარდა ეს მაჩვენებლები განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სარკინიგზო ტრასპორტის როლის სათანადოდ ვერ შეფასების გამო. უპირველეს ყოვლისა ეს მოსაზრება გამომდინარეობს სამართლებრივ - საკანმომდებლო ბაზის არ არსებობის ან მოძველების, (სამშენებლო წესები და ნორმები; უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტი; ინსტრუქციები; მოკვლევის ინსტრუქციები); სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მკვეთრად გამოხატული სტრატეგიის არ არსებობის; სტრუქტურული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის არასრული რესტრუქტურირების; ადგილობრივ გადაზიდვებზე მაღალი ტარიფების არსებობის და სხვა საკითხების გამო ანუ იმ საკითხების მთელი სპექტრის გამო, რომელიც განსაზღვრავს სარკინიგზო ტრანსპორტის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბაზას.

სარკინიგზო ტრასპორტის დონის შეფასების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს სარკინიგზო სისტემების, სამეურნეო ერთეულების და ინფრასტრუქტურის ტექნიკური დონე, ძირითადი ფონდების ფიზიკური და მორალური ცვეთა, პირველ რიგში მექანიზაციის ერთეულების ცვეთა, რომელიც წარმოადგენს ზოგადად რკინიგზების ქმედითუნარიანობის განმსაზღვრელ ერთ ერთ განსაკუთრებულ პირობას. სარკინიგზო ტრასპორტის მაღალ დონეზე ფუნქციონირებისათვის ასევე აუცილებელია სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამართულობა (საავტომობილო ინფრასტრუქტურა, საზღვაო პორტები, საჰაერო ტრანსპორტი, ტერმინალები და სხვა.)

ამ პირობებში საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების ულტერნატივო საშუალებას საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების (შემდეგში სსდ) საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრება გვაძლევს, ხოლო სრულყოფილად

ფუნქციონირება რელიეფური და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სამთო რკინიგზების მშენებლობა და არსებული რკინიგზების რეკონსტრუქცია წარმოადგენს.

თავი1. ამოცანის დასმა და არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

1.1. ამოცანის დასმა

საქართველოში სსდ განვითარების ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს სამთო პირობებში რკინიგზების კომპლექსური მშენებლობა, არსებული რკინიგზების რეკონსტრუქცია და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პირობების გადაწყვეტის მთელი კომპლექსის სრული გათვალისწინება.

კომპლექსური საშემსრულებლო საპროექტო დოკუმენტაციის ეფექტურობა გარკვეულ წილად დამოკიდებულია საკვლევ სამიზნო სამუშაოების პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხთან. სატრანსპორტო მშენებლობაში ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში რკინიგზების კომპლექსური პროექტების შედგენის სამუშაოები იწელება წლების განმავლობაში, რომელიც თანამედროვე პირობებში კატეგორიულად მიუღებელია.

საპროექტო დოკუმენტაციის ეფექტურად დამუშავება, მისი კომპლექსურად გაანალიზების მიზნით და შრომის დანახარჯების შემცირება განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ კი გეოინფორმაციული სისტემების (გის)რელიეფის ციფრული სისტემების(რცს) და პროექტების რისკების მართვის გამოყენების გზით. საქართველოში ისინი ფართოდ გამოიყენება საავტომობილო გზების პროექტირების, მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში. ასეთი ერთიანი სისტემები რკინიგზების პროექტირებისათვის საქართველოში მხოლოდ ეხლა იწყებს დანერგვას მაგალითად მარაბდა - კარწახის რკინიგზაზე შექმნილია პროექტის მართვის სპეციალური ჯგუფი, რომელიც ითვალისწინებს და ნერგავს მშენებლობაში პროექტებისა და რისკების მართვის ასპექტებს.

რკინიგზების კომპლექსური პროექტირება არის ეკონომიკური და ტექნიკური დოკუმენტების კომპლექსი, ანგარიშებით, მთელი სარკინიგზო ნაგებობებზე და მოწყობილობებზე მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილებებით.

რკინიგზების კვლევა - დაპროექტირების კომპლექსურობა რთულ სამთო პირობებში წარმოადგენს სატრანსპორტო მეცნიერების იმ ნაწილს, რომელიც დაფუძნებულია მათემატიკური მოდელირების საფუძველზე, საინჟინრო კვლევების წარმოების მეთოდებზე. სამშენებლო და სამატარებლო მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, ამუშავებს საპროექტო რკინიგზის ხაზის რაიონის ინფორმაციას და მათ საფუძველზე ქმნის მეცნიერულად დასაბუთებულ პროექტებს ახალი რკინიგზების აშენებისათვის ან არსებული რკინიგზების რეკონსტრუქციის მიზნით.

სამთო რკინიგზების კომპლექსური პროექტირება ახალი რკინიგზების მშენებლობისას და არსებული რკინიგზების რეკონსტრუქციის დროს წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღებას პროექტის ძირითადი ტექნიკური პარამეტრების შესახებ - გადაზიდვების გაზრდის პერსპექტივისა და საექსპლუატაციო ხარჯების მინიმუმამდე დაყვანის გათვალისწინებით.

სამთო რკინიგზების კომპლექსური პროექტირებისას მიღებული გადაწყვეტილებების განუხრელ მოთხოვნას წარმოადგენს მთელ სარკინიგზო საპროექტო ხაზზე მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. პროექტში აუცილებელია გამოყენებული იქნას მოწინავე ქვეყნების მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები, რათა რკინიგზები მშენებლობის დამთავრების მომენტისათვის შეესაბამებოდეს იმ დროის მსოფლიოში არსებულ ტექნიკურ დონეს. კომპლექსური პროექტირება ასევე უნდა ითვალისწინებდეს მშენებლობის პროგრესულ მეთოდებს, მშენებლობის მექანიზაციის და ინდუსტრიალიზაციის მაღალ ხარისხს,

მძიმეწონიანი მატარებლების და სამგზავრო მატარებლების მოძრაობისას რკინიგზების ექსპლუატაციის მაღალ დონეს.

ადგილობრივი, ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა ფაქტორების მრავალფეროვნებას მიყვავართ ვარიანტების წარმოქმნასთან (გაჩენასთან), ანუ ერთი და იგივე ამოცანის სხვადასხვა გადაწყვეტილებასთან, რომელიც აკმაყოფილებს პროექტისადმი წარდგენილ მოთხოვნების, მაგრამ განსხვავებულია მშენებლობის მოცულობით, საექსპლუატაციო ხარჯებით, მშენებლობის სირთულით და ხანგრძლიობით. ამ ვარიანტებიდან საუკეთესოს შეჩვენა ერთ ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს, რომელზედაც დამოკიდებულია მშენებლობის ვადები, ბიუჯეტი და ხარისხი.

ზოგადად რკინიგზების და განსაკუთრებით სამთო რკინიგზების კომპლესური პროექტირების ერთ ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს პროექტის რისკების შეფასებისა და გადახრების მართვის სისტემის დამუშავება, რომლის შედეგად მინიმუმადე უნდა იქნას დაყვანილია მათი განვითარების პროცესები.

ვარიანტების დაწვრილებითი ანალიზის შედეგად უნდა იქნას მიღებული საუკეთესო გადაწყვეტილება და მის შესაბამისად განხორციელდეს მშენებლობა.

პროექტი უნდა უზრუნველყოფდეს გადაზიდვების მაღალ მაჩვენებლებს მინიმალური თვითღირებულებით, მშენებლობის მაღალ ხარისხს და მშენებლობის შესაძლოდ მცირე დროის განმავლობაში დასრულებას, შესაძლო მცირე დანახარჯებით.

პროექტი წარმოადგენს მშენებლობის განხორციელების ძირითად იურიდიულ და ეკონომიკურ დოკუმენტს და იგი ასეთი ხდება მას შემდეგ, რაც გაივლის სრულყოფილ და ყოვლის მომცველ ექსპერტიზას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების, მდგრადობას, ეკოლოგიის და ბუნების დაცვის საკითხებს.

გასათვალისწინებელია ასევე, რომ სამთო რკინიგზების ნაგებობების და მოწყობილობების ძირითადი ნაწილი მუშაობს ღია ცის ქვეშ, ამიტომ მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იქნას მათზე ბუნებრივი ფაქტორების მავნე ზემოქმედება.

რკინიგზების კომპლექსური პროექტირება სამთო პირობებში წარმოადგენს რთულ პრობლემას, რომელიც მოითხოვს ცოდნას, გამოცდილებას და მთელი კოლექტივის შემოქმედებით მიდგომას.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა: სატრანსპორტო სისტემის პოტენციალის სრულად გამოყენება ქვეყნის ძირითად ამოცანას და პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს, რადგანაც საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი, სატრანსპორტო დერეფნებს შორის, ერთ ერთ ყველაზე კონკურენტუნარიან დერეფანს წარმოადგენს. საქართველოს ხელისუფლება და „საქართველოს რკინიგზა“ აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო სატრანსპორტო საკომუნიკაციო პროექტებში, რადგანაც ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკურის სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს. საქართველოში, აზია-ევროპის დამაკავშირებელ Traseca-ს საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარებასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ყარსის საერთაშორისო რკინიგზის მშენებლობა, რომელიც Traseca-ს დერეფნის სამხრეთის მიმართულებით განშტოებას წარმოადგენს. იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგადად საქართველოს რკინიგზის უდიდესი ნაწილი და მათ შორის, ბაქო-თბილისი-ყარსის საერთაშორისო რკინიგზის, მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულება), გადის რთულ სამთო და გეოლოგიურ პირობებში რკინიგზების კომპლექსური დაპროექტებისას და მშენებლობისას გარდაუვალი ხდება, ისეთ

არაორდინალური, სპეციფიკური ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, რომლებიც ჩვეულებრივ კვაზისტატიკურ მიდგომის ჩარჩოებში ვერ თავსდება. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ამ პრობლემების გადაწყვეტის საკითხებისადმი მიძღვნილი, ამიტომ ნაშრომის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია:

- საქართველოს რკინიგზების მშენებლობის გამოცდილების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;
- სამთო პირობებში არსებული რკინიგზების გაძლიერებისა და რეაბილიტაციის ღონისძიების შეისწავლა და გაანალიზება;
- რთულ პირობებში სამთო რკინიგზების კომპლექსური დაპროექტებისა და მშენებლობის თანამედროვე მეთოდების შემუშავება; კვლევების შედეგად მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენების სფეროების დადგენა, კვლევის შედეგების დასაბუთება და პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობის გამოვლენა;
- მიწის ვაკისის რაციონალური განივი პროფილების დაპროექტება ლიანდაგის დანამქვრისაგან დაცვის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად;
- გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის სიმტკიცეზე და მდგრადობაზე მათემატიკური მოდელის გაანგარიშება, რელსების ჩამაგრების ოპტიმალურ ტემპერატურული რეჟიმის დადგენა საქართველოს რკინიგზის ყველა რეგიონისათვის და მათი ჩამაგრების ტექნოლოგიის შემუშავება;
- მიღებული შედეგების მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის რკინიგზის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია მშენებლობის პროექტში დანერგვა და გამოყენება;

- თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევების შედეგების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

მეცნიერული სიახლეები მდგომარეობს:

- მთიან პირობებში რკინიგზების კომპლექსური დაპროექტებისა და მშენებლობის სპეციფიკური საკითხების დამუშავება;
- გაჭიანურებულ ქანობებზე რკ/ბეტონის შპალების გამოყენების ტექნოლოგიის შემუშავება;
- ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, გაჭიანურებულ ქანობებზე გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის ალუმინო თერმიტული შედუღების მეთოდით, მოწყობისა და ექსპლუატაციის ტექნოლოგიის შემუშავება;

აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომის შუალედური შედეგები მოხსენებულა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - სტუდენტთა № 81 ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე თბილისი 2013 წ. „მთიან პირობებში რკინიგზების კომპლექსური პროექტირებისას უპირაპირო ლიანდაგის მოწყობის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“), აგრეთვე საგზაო დეპარტამენტის კოლოკიუმებზე, გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო სტატია.

დისერტაცია წარმოდგენილია 137 ნაბეჭდ გვერდზე, 13 ცხრილით 25 სურათით და 125 გამოყენებული ლიტერატურით.

1.2. არსებული ლიტერატურის მიმოხილვა

1.2.1. ზოგადი მიმოხილვა

თანამედროვე პირობებში სარკინიგზო ტრასპორტის განვითარებისათვის მთავარი როლი ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების შედეგად, საერთაშორისო სატრასპორტო დერეფნების ფორმირებას. მათ უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული ადგილი სატრასპორტო პრობლემების გადასაწყვეტად ქვეყნებს შორის სატრასპორტო-ეკონომიკური, კულტურული და სხვა ერთობლივად შერწყმული, ერთიანი პარამეტრებით საერთაშორისო სატრასპორტო სისტემაში ჩართვისათვის. მიღებული უნდა იქნას რკინიგზების დაპროექტებისა და მშენებლობის ერთიანი პარამეტრები, გადაზიდვების პროცესების ერთიანი ტექნოლოგიები, ჩვენი ქვეყნის სარკინიგზო სისტემის მსოფლიო სარკინიგზო სისტემებში ინტეგრაციის მიზნით.

1.2.2. სატრანსპორტო საერთაშორისო დერეფნების

ჩამოყალიბებისათვის ღონისძიებების მიმოხილვა

საერთაშორისო სატრასპორტო დერეფანი - არის ნაცონალური ან საერთაშორისო სატრასპორტო სისტემის ნაწილი, რომელიც ცალკეულ რეგიონებს შორის უზრუნველყოფს საერთაშორისო სატვირთო, სამგზავრო გადაზიდვების მნიშვნელოვან ნაწილს, ყველა სახის მოძრავი შემადგენლობით და სტაციონალური მოწყობილობებით, ამ გადაზიდვების ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ტექნოლოგიური პირობების უზრუნველყოფით. [32]

საერთაშორისო სატრასპორტო სისტემებში ჩართვა ხორცილედებოდა თანმიმდევრულად. საერთაშორისო სატრასპორტო სისტემების ფორმირების ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, (ცხრილი 1). ის მწიფდებოდა დიდი ხნის

განმავლობაში, ვითარდებოდა ეტაპობრივად, საერთაშორისო დერეფნებში ნაციონალური დერეფნების ჩართვით.

**სატრანსპორტო საერთაშორისო დერეფნების ჩამოყალიბებისათვის
ღონისძიებების მიმოხილვა**

ცხრილი 1

წელი	ჩატარების ადგილი	ძირითადი გადაწყვეტილებები
1978		ევროკავშირის ინტერესებში სატრანსპორტო ქსელის განვითარების საკითხების განმხილველი კომიტეტის ჩამოყალიბება (EU)
1982		EU სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების დაფინანსების ბიუჯეტის შექმნა
1991	პრაღა	პირველი პანევროპული ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების კონფერენცია ევროპული სატრანსპორტო სისტემების ურთიერთდახმარების და ინტეგრაციის საკითხებზე
1992		ტრანსევროპული ქვეყნების სატრანსპორტო პოლიტიკის შესახებ „თეთრი წიგნის„ გამოცემა კონკრეტული დერეფნების მითითებით.
1993	ბრიუსელი	ევროპა - კავკასია - აზია „ტრასეკა„ კორიდორის განვითარებისათვის საერთაშორისო შეთანხმების გაფორმება
1994	კრეტა	მეორე პანევროპული ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების კონფერენცია მეცხრე ტრანსევროპული კორიდორების ქსელებისა და ქვეყნების ურთიერთ თანამშრომლობის ძირითადი გზების შესახებ

1997	ჰელსინკი	ტრასპორტის მინისტრების მესამე პანევროპული კონფერენცია სატრასპორტო დერეფნების განვითარების შესახებ
1998	სან პეტერბურგი	პირველი ევრო - აზიური საერთაშორისო სატრასპორტო კონფერენცია აღმოსავლეთის და დასავლეთის სატრანსპორტო სისტემების დონის გათანაბრების შესახებ
1999	ტაშკენტი	საერთაშორისო კონფერენცია „სატრასპორტო გადასასვლელი აზია - ევროპის პრობლემები,, ანუ „აბრეშუმის გზა,,
2000	სან პეტერბურგი	პირველი ევრო - აზიური საერთაშორისო სატრანსპორტო კონფერენცია „ბალტიის გადასასვლელის,, პროექტის გაფართოების, მსოფლიო სატრანსპორტო სისტემაში ინტეგრაციის შესახებ
2001	ირკუცკი	პორველი MCAT „ევროპა - აზიას,, გადაზიდვების ავტოსატრასპორტო კონფერენცია

პანევროპული სატრასპორტო დერეფნების მიმართულებები


ცხრილი 2.

I	<p><i>ჩრდ-სამხ.</i> ხელსინკი - ტალინი - რიგა - კაუნასი და კლაიპედა - ვარშავა და გდანსკი</p> <ul style="list-style-type: none"> • განშტოება A: (Via/Rail Hanseatica - რიგა - კალინინგრადი-გდანსკი • ბალტიის ზღვაზე (E67) - ხელსინკი - ვარშავა
II	<p><i>აღმოს - დას:</i> ბერლინი - პოზნანი - ვარშავა - ბრესტი - მინსკი-სმოლენსკი - მოსკოვი - ნიჟნი ნოვგოროდი</p>
III	<p>ბრიუსელი - აახენი - კიოლნი - დრეზდენი - ვროცლავი - კოტოვიცე - კრაკოვი - ლვოვი - კიევი</p>

IV	დრეზდენი/ნიურბერგი - პრაღა - ვენა - ბრატისლავა - დიორი - ბუდაპეშტი - არადი - ბუხარესტი - კოსტანცა/კრაიოვა - სოფია - ფასსალონიკი/პლოვდივი-სტამბული
V	ადმოს - დას: ვენეცია - ტრიესტა/კოპერ - ლუბლიანა - მარიბორი - ბუდაპეშტი - უჟგოროდი - ლვოვი - კიევი(1600 კმ) <ul style="list-style-type: none"> • განშტოება A: ბრატისლავა - ჟილინა - კომიცი - უჟგოროდი • განშტოება B: რიეკა - ზაგრები - ბუდაპეშტი • განშტოება C: პლოჩე - სარაევა - ისიეკა - ბუდაპეშტი
VI	ჩრდ - სამხრეთი: გდანსკი - კატოვიცე - ჟილინა, დასავლეთ განშტოება კოტოვიცე - ბრნო
VII	(დუნაი) ჩრდილოეთ-დასავლეთი - - ამხრეთ-აღმოსავლეთი - სიგრძით 2300 კმ
VIII	დურრესი - ტირანა - სკოპიე - ბიტოლა- სოფია - დიმიტროვგრადი - ბურგასა - ვარნა (სიგრძე 1300 კმ
IX	ჰელსინკი - ვიბორგი - სანკტ პეტერბურგი - ფსკოვი - მოსკოვი კალინინგრადი - კიევი - ლუბაშევეკა/პოზდილინა(უკრაინა) კიშინიოვი - ბუხარესტი - დიმიტროვგრადი - ალექსანდროპოლისი. განშტოება ლუბაშევეკა/პოზდილინი ოდესამდე. (სიგრძე 3400 კმ) <ul style="list-style-type: none"> • განშტოება A: ჰელსინკი - სანკ პეტერბურგი-მოსკოვი • განშტოება B: კალინინგრადი - კიევი • განშტოება C: კალინინგრადი - ვილნიუსი - მინსკი
X	ზალცბურგი - ლუბლიანა - ზაგრები - ბელგრადი - ნიში - სკოპიე - ველესი - ფასსელონიკი <ul style="list-style-type: none"> • განშტოება A: გრაცი - მარიბორი - ზაგრები • განშტოება B: ბუდაპეშტი - ნოვი-სად - ბელგრადი • განშტოება C: ნიში - სოფია - დიმიტროვგრადი - სტამბული IV დერეფანის გავლით. • განშტოება D: ველესი - პრილეპი - ფლორინა - იგუმენიკა



სურ.1. ევროპის სატრასპორტო დერეფნების ქსელის სქემა



სურ. 2. ტრანს აზიური სარკინიგზო ქსელის სქემა

სსდ პირდაპირ ფუნქციას წარადგენს საექსპორტო და საიმპორტო გადაზიდვების მომსახურება და საერთაშორისო ტრანზიტი. შესაბამისად მეზობელი სახელმწიფოები არასდროს აწყდებიან უწყვეტი კავშირების პრობლემებს. ამიტომ ცალკეული

საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ცდილობენ აირჩიონ მარშრუტები შუალედური ქვეყნების, რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობით მათი შესაძლო სასაზღვრო ბარიერების, პოლიტიკური მდგომარეობის და განსხვავებული მოსაკრებელებით გამოწვეული სიძნელეების თავიდან ასაცილებლად.

სსდ მეორე საბაზისო ფუნქციას წარმოადგენს საერთაშორისო ტრანზიტის უზრუნველყოფა. თანამედროვე პირობებში ევრაზიული სატრანსპორტო დერეფანის სახმელეთო ტრანზიტი საგრძნობ მატებას განიცდის, რაც აიხსნება ევროპასა და აზიას შორის საქონელბრუნვის გაზრდით. ამასთან ერთად ამ ეტაპისათვის ევროპამ პრაქტიკულად მიაღწია მრეწველობის პოტენციალის გაზრდას თავისი შიდა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მრეწველობის მომდევნო ზრდა განპირობებული იქნება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში და მათ შორის პირველ რიგში აზიაში ექსპორტის დონის ასამაღლებლად.

აქედან გამომდინარე ევროპიდან წარმოებული პროდუქციის ტრანზიტის მომსახურებიდან ეკონომიკური ეფექტის მისაღებად ყველა ქვეყანა ცდილობს სსდ თავის ტერიტორიაზე გატარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც პატარაა ქვეყანა მიუხედავად მრეწველობის განვითარების დონისა მით ნაკლებად მოცულობითია მისი შიდა ბაზარი შესაბამისად სატრანზიტო გადაზიდვებიდან შემოსული მოგება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. სსდ ასევე დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის სამრეწველო, სასურსათო, დემოგრაფიულ, სამხედრო და ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე, საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციაზე.

საერთაშორისო კონკურენციის გაზრდილი მოთხოვნები საქართველოს რკინიგზას ავალდებულებს შემოიღოს ან განახორციელოს ტოტალური კონტროლი მოძრავი შემადგენლობის ყოველ ერთეულზე და თითოეულ კონტეინერზე. აითვისოს ტვირთნაკადების ახალი ლოჯისტიკური მეთოდები, გადატვირთვის

თანამედროვე კომპლექსები, საბაჟო და სასაზღვრო სამსახურების სინქრონული მუშაობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ნორმატიულ - ტექნიკური და სამართლებრივი ბაზის შექმნით.

სსდ, როგორც წესი ასევე წარმოადგენენ საფუძველს ნაციონალური რკინიგზების განვითარებისათვის.


1.2.3. საქართველოში სამთო რკინიგზების კომპლექსური პრიექტირებისა და მშენებლობის მოკლე ისტორია

საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ, ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრემ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 20-ან წლებში დღის წესრიგში დააყენა, ძველი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი უმთავრესი მონაკვეთის აღდგენა განვითარების აუცილებლობა, ბაქო ფოთის უბანზე. ეს საკითხი რუსმა ეკონომისტმა მორდვინოვმა წამოჭრა 1827 წელს, სადაც რუსეთის იმპერატორს უსაბუთებდა კასპიის და შავი ზღვის აუზების დაკავშირების აუცილებლობას და პერსპექტიულობას, ბაქოსა და ფოთს შორის რკინიგზის მშენებლობის საშუალებით. საქართველოს რკინიგზების მშენებლობის განვითარებაში უდიდესი დვაწლი მიუძღვით თავის დროზე გამოჩენილ ინჟინრებს: გარსევანიშვილს, ნ. ნიკოლაძეს, ვ. ლევაშოვს, ბ. სტატკოვსკის, ფ. რიძევსკის, პ. ბელს და სხვებს [49], [50], [52], [53].

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1867 წლის 15 ივნის „ცარსკოე სელოში“ რუსეთის იმპერატორთან განხილული იქნა „ფოთი - ტიფლისის რკინიგზების მშენებლობის კონცესია“, რომელსაც ხელს აწერდა, კავკასიის საქმეთა კომიტეტის მართველი, სტატს მდივანი ნ. გულკევიჩი [85].

1899 წელს დამთავრდა ტიფლისი ყარსის რკინიგზის მშენებლობა სასომხეთის გავლით [51].

სხვა და სხვა წლებში საქართველოში რკინიგზის ხაზების მშენებლობის თარიღები წარმოდგენილია სქემაზე. სურ. 3.




სურ. 3. საქართველოში რკინიგზის უბნების ექსპლუატაციაში შეყვანის თარიღები

1.2.4. ბაქო - თბილისი - ყარსის რკინიგზის დაპროექტებისა და მშენებლობის ისტორია

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში, თბილისი-ფოთის რკინიგზის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, კავკასიის სამხედრო გენერალიტეტის პირდაპირი მოთხოვნით, დაიწყო თურქეთის მიმართულებით რკინიგზი ხაზის დაპროექტებაზე მუშაობა. შემოთავაზებული იქნა მრავალი ვარიანტი, რომელთაგან მეტად საყურადღებოა შემდეგი ხუთი ვარიანტი:

პირველი ვარიანტი - თბილისი(ნავთლული) - ბორჩალო - ალავერდი - კარაკლი - ამამლუ - ჯაჯური - ალექსანდრეპოლი(ლენინაკანი)-ყარსი(სურ 4).

ამ ვარიანტს კურირებდნენ კავკასიის მეფის ნაცვალი, თბილისის გუბერნატორი და ალავერდის სპილენძის საბადოების კონცესიონერები.



სურ. 4. ტიფლისი - ყარსის რკინიგზი პროექტი

მეორე ვარიანტი: აქსტაფა - იჯევანი - დილიჯანი - გამზაჩიმანი-კარაკლის - ჯაჯური - ალექსანდრეპოლი(ლენინაკანი)-ყარსი.

მესამე ვარიანტი: ბაქო - ალიატი - მინჯევანი, ხოლო ერევანთან შესაერთებლად თბილისიდან პროექტირდებოდა რკინიგზის ხაზი ერევანი - სევანი - დილიჯანი - აქსტაფა.

მეოთხე ვარიანტი: ბათომი - ჭოროხი - ოლთუჯაი - ყარსი.

მეხუთე ვარიანტი: 1894 წელს ახლად გახსნილი მიხაელოვო (ხაშური) - ბორჯომის 29 კილომეტრიანი ხაზიდან ყარსისკენ გაგრძელებას ანუ მიხაელოვო - ბორჯომი - ახალციხე - ყიზილ - როჩი - ალექსანდროპოლი - ყარსის ვარიანტი (სურ 5).



სურ. 5. მიხელოვო - ბორჯომი - ახალციხე - ყიზილ - როჩი - ალექსანდროპოლი - ყარსის ვარიანტი.

დამპროექტებლების პროტესტის მიუხედავად, ხელისუფლების მოთხოვნით მიღებულ იქნა პირველი ვარიანტი, საერთო სიგრძით 301 კმ.

თბილისი - ყარსის რკინიგზის ხაზის მშენებლობის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1896 წლის 23 მაისს. მშენებლობა დამთავრდა და პირველი მატარებელი ზუსტად 1899 წლის 21 ივნისს 10 სთ. და 55 წუთზე გაჩერდა ყარსის სადგურში.

თბილისი ყარსის რკინიგზა აშენდა ურთულეს ტოპოგრაფიულ, გეოლოგიურ და კლიმატურ პირობებში. იგი განლაგებულია ვიწრო მთიან ხეობაში და მთაგრეხილს კვეთს მსოფლიოში მსოფლიოში ერთ - ერთ უმაღლეს ნიშნულზე. ტრასაზე განლაგებულია 535 ხელოვნური ნაგებობა, საერთო სიგრძით 2569 გრმ. მ. 13 გვირაბი, საერთო სიგრძით

2600 გრძ. მეტრი, ხოლო ჯაჯურის მთავარი გვირაბის სიგრძე 1702 გრძ. მეტრს შეადგენს.

1.2.5. საერთაშორისო სატრასპორტო დერეფნების მნიშვნელობა საქართველოსათვის

საერთაშორისო სარკინიგზო დერეფანი „ევროპა - კავკასია - აზია“ - ს(შემდგომი Traseca) ძირითადი ხელშეკრულება ევროპა - კავკასია - აზიის საერთაშორისო დერეფანის გაფართოების მიზნით ხელი მოაწერა 32 ქვეყანამ, მათ შორის 10- ყოფილმა პოსტსაბჭოთა ქვეყნამ. პროექტის მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა ევროკავშირის ქვეყნები. ევროპელი ექსპერტების აზრით ამ დერეფანში ტვირთბრუნვის გაზრდა იგეგმებოდა ყოველწლიურად არა ნაკლები 30 %-ით.

ჩრდილოეთის საერთაშორისო დერეფანში მთავარი გადამზიდავი ქვეყნის (რუსეთის ფედერაციის რკინიგზები) ექსპერტები თავიდანვე კრიტიკულად აფასებდნენ აღნიშნულ პროექტს. დერეფნის ირგვლივ გამოთქმული იქნა ისეთი შეფასებები, როგორცაა „საპნის ბუმტი“; „ბოქლომი ქვიშაზე“; „მუყაოს სახლი“ მაგრამ რუსეთის მხარემ, როდესაც დაინახა Traseca-ს პროექტის გაფართოების პერსპექტივა კრიტიკის მაგივრად გამოთქვა მზადყოფნა კასპიის ზღვიდან თავისი შიდა სამდინარო გზებით სარკინიგზო საბორნე გადასასვლელით უზრუნველყო ტვირთების გადაზიდვა ილიჩოვსკის პორტამდე, (Traseca -ს დერეფანში მოძრავი შემადგენლობები ორჯერ შედიან ბორანზე - შავ და კასპიის ზღვებში). ამ წინადადებით რუსეთს უნდა დაამკვიდროს ახალი საერთაშორისო დერეფანი აზერბაიჯანის და საქართველოს გვერდის ავლით, რამე თუ საბორნე გადასასვლელი აქტაუდან და თურქმენ-ბაშიდან ბაქოსთვის უზრუნველყოფს თავისი წილი მოგების მიღებას. გარდა სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფისა ერთი ვაგონის იჯარა ბორანზე შეადგენს 6 ფრანკს, ხოლო ბორანზე თითო ვაგონის შეგორება გამოგორებისათვის გადასახადი შეადგენს 25 ფრანკს. იგივე

წილი მოგება იქნება საქართველოსათვის შავი ზღვის აკვატორიაში მოქმედი ქართული პორტებიდან[34].

გარდა ეკონომიკური მოგებისა აზერბაიჯანი ამ პროექტიდან გამომდინარე გახდა დერეფნის მთავარი დეპოზიტორი, რაზედაც მიუთითებს Traseca-ს მთავარი ოფისის ე. ბაქოში განლაგებაც.

იმისათვის რომ გაექარწყლებინათ ბაქოს სამიტზე ექსპერტების მიერ გამოთქმული აზრი, რომ Traseca-ის მარშრუტით ადრესატამდე ვაგონები ჩავიდოდნენ ორჯერ უფრო მეტ დროში ვიდრე ჩრდილოეთის დერეფანის მარშრუტით 1999 წელს რუსეთის რკინიგზებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი ნახოდკიდან ბრესტამდე ვაგონების მსვლელობის დრომ შეადგინა 9 დღე ღამე და დაასკვნეს, რომ ამ დროში Traseca-ს დერეფნის მარშრუტით ვაგონების მიწოდება ნახოდკამდე ვერ მოხერხდებოდა საბორნე ორი გადასასვლელის და ურიკების შეცვლის პუნქტში საჭირო დროის გამო.

რაც შეეხება სატარიფო პოლიტიკას Traseca-ს საერთაშორისო დერეფნის გახსნისას კლიენტურის მოზიდვის მიზნით ორგანიზატორებმა შეძლეს შეთანხმებულიყვნენ გადაზიდვების 50%-ან შეღავათებზე დერეფნის მთელ სიგრძეზე, რაზედაც იმდროინდელი რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილემ ევგენი კაზანცევმა გააკეთა განმარტება მასზედ, რომ: 20 ფუტიან კონტეინერებზე რუსეთის რკინიგზების გამოყენების შემთხვევაში შეღავათები გადაზიდვებზე იქნებოდა 1.7-ჯერ ნაკლები ვიდრე Traseca-ს დერეფანში, ხოლო ნავთობის და ფერადი ლითონების გადაზიდვების შემთხვევაში 1.2-ჯერ ნაკლები.

აღნიშნული პირობები კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის საერთაშორისო სარკინიგზო დერეფნების განვითარება და ერთიანი ტარიფების შემცირება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეტაპზე ევროპა - აზიის მიმართულებით არსებობს ერთი დერეფანი. ეს არის საქართველოს საზღვაო პორტები (ბათუმი, ფოთი, ყულევი) - აზერბაიჯანის რკინიგზა ანუ Traseca-ს დერეფანი.

სსდ სამხრეთის მიმართულებით განვითარების მიზნით მიმდინარეობს ბაქო თბილისი ყარსის რკინიგზის მშენებლობა. საქართველო ურთიერთ თანაბარ პოზიციებზე მზადაა თავის თურქ და აზერბაიჯანელ პარტნიორებთან ერთად რეალიზება გაუკეთოს ამ დერეფანის მშენებლობას და შემდგომ ექსპლუატაციას. აღსანიშნავია, რომ აღიშნული დერეფანის გახსნის შემდეგ ქვეყანაში დაიწყება პირდაპირი თანხების შემოდინება სხვა და სხვა სატრასპორტო მომსახურების და მათთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის სახით. ამის გარდა საქართველოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიზნით მომართულია თანხები საერთო რაოდენობით 750 მლ. დოლარი. გარდა ამისა ეს პროექტი გახდა საქართველოს რკინიგზაზე თანამედროვე სარკინიგზო ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვისა. კერძოდ პროექტში დამუშავდა:

- გადაზიდვების მართვის მიკროპროცესოლური ელექტრონული სისტემები;
- წვეის ქვესადგურების დისპეტჩერული მართვის მიკროპროცესორული სისტემები;
- ლითონის გოფრირებული თაღოვანი თოვლდამცავი გალერეების მშენებლობის ტექნოლოგია;
- UIC სისტემების რელსების გამოყენების პრობები და მიზანშეწონილობა;
- სამგზავრო მატარებლებისათვის ტალგოს სისტემის დანერგვა;
- საქართველოს სარკინიგზო მშენებლობაში პირველად იქნა გამოყენებული გეომასალები;

საქართველოში პირველად იქნა ათვისებული საკონტაქტო ქსელის ჩამონაკიდის საყრდენების წარმოება, 1435 მმ. ლიანდის სიგანის რკ/ბეტონის შპალების წარმოება.

ყველაფერი ეს ქმნის პირობებს საქართველოს რკინიგზის და შესაბამისად იმ რეგიონების განვითარებისა სადაც გადის სარკინიგზო დერეფანი.

აქვე უნდა აღინიშნოს შავი ზღვის საერთაშორისო სარკინიგზო ტრანზიტის პოტენციალის არასრულფასოვნად რელიზების რეალობა..

დღეს სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო (მყარი) ტვირთების ტრანზიტი სარკინიგზო ტრასპორტით ევროპა აზიის მიმართულებით და პირიქით სარკინიგზო საბორნე გადასასვლელით საქართველოს გავლით მიემართება უკრაინის პორტებით ევროპაში ანუ, როგორც ზემოდ ავღნიშნეთ უკრაინა წარმოადგენს საქართველოსა და ევროპას შორის შუამავალ სატრანზიტო ქვეყანას.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული უპირატესობის სრულფასოვანი რეალიზაციის მიზნით, ევროპის მრეწველობის გაზრდილი ექსპორტის მოპოვებისა და შემდეგ ტრანზიტის უზრუნველსაყოფად და ამით საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯის განმტკიცების და ეკონომიკური მოგების გაზრდის მიზნით აუცილებელია ახალი საერთაშორისო სატრასპორტო სარკინიგზო დერეფანების დაგეგმარება და ფორმირება, ევროპა-აზიის განვითარებად საერთაშორისო დერეფანის ინფრასტრუქტურაში.

გასული წლების განმავლობაში ОСЖД წვერი რკინიგზებმა - მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადეს მისი მართველობის სტრუქტურის რეფორმირებისათვის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, ევროპა - აზიის მიმართულებით სარკინიგზო ტრანსპორტის კონკურენტულობის ასამაღლებლად.

შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების შედეგად რკინიგზის ხაზების სატრანსპორტო

ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის და ახალი სატრანსპორტო დერეფნების გაკვალვით შესაძლებელი გახდა ОЖД წვერი რკინიგზებს ამ მიმართულებით გადაეზიდათ 6 მლ. ტ. ტვირთი და გადაეყვანათ 4 - მლ - მდე მგზავრი[35].

 - საისრე გადამყვანების და ლიანდაგების თოვლისაგან მექანიზირებულ გაწმენდას;
 - სადგურის მშენებლობისას და ექსპლუატაციის პერიოდში სამატარებლო და სამანევრო მუშაობისას მოძრაობის უსაფრთხოებას შრომისა და გარემოს დაცვის პირობებს;
- სხვა სადგურებისგან განსხვავებით ახალქალაქი სატვირთო სადგურის კომპლექსურმა პროექტმა უნდა გაითავლისწინოს:
- მეცნიერების და ტექნიკის თანამედროვე გამოგონებები და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, რადგანაც სადგურის ექსპლუატაციაში გაშვების და მომდევნო პერიოდში მოწყობილობების ტექნიკური დონე იმ დროისათვის იყოს თანამედროვე და ქონდეს მაღალი ტექნიკურ - ეკონომიური მაჩვენებლები, ხოლო შრომის პირობებით პასუხობდეს იმ დროისათვის დაწესებულ თანამედროვე პირობებს, რითაც მიღწეული იქნება შრომის მაღალი ეფექტურობა.
 - სადგურის ტექნიკური აღჭურვილობის თავდაპირველ და თანმიმდევრობით ექსპლუატაციაში ეტაპობრივ რაციონალურ გაშვება-განვითარებას;

- სამშენებლო მასალემის მაქსიმალურად ეკონომიურად (უპირატესად ადგილობრივი წარმოების) გამოყენებას, სასოფლო სამეურნეო და სახნავ სათესი მიწების სადგურის მიერ, რაც შეიძლება ნაკლებად დაკავებას.

პროექტში გათვალისწინებული მასალები, მოწყობილობების და აპარატურების ტიპები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს. სადგურების და კვანძების ნაგებობების და მოწყობილობების დაპროექტება, როგორც წესი უნდა განხორციელდეს მოქმედი ტიპური პროექტებით.

სასაზღვრო შეპირაპირების სადგურების პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნას პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების თანმიმდევრობითი შესრულება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორივე სტანდარტის ცალკეული კომპლექსების ექსპლუატაციაში თანმიმდევრული გაშვება (პარკები, ლიანდაგები, საისრე ყელები) ელექტროფიკაციის მოწყობილობების, საისრე გადამყვანების ელექტროცენტრალიზაციის და ა.შ. გამტარუნარიანობის და გადამამუშავებელი სიმძლავრეების გაძლიერების მიზნით სასაზღვრო საბაჟო ოპერაციების შეუფერხებლად განხორციელების გათვალისწინებით.

პროექტის ყველა რიგზე განსაზღვრული უნდა იქნა რკინიგზების ორივე სატანდარტის გამშვები კომპლექსები, რომლებიც უნდა შეიცავდეს იმ საწარმოო შენობა ნაგებობებს და მოწყობილობებს, რომლებიც აუცილებელია ობიექტის ექსპლუატაციაში ასაყვანად.

2.6. მთიან პირობებში ერთლიანდაგიანი რკინიგზის ხაზზე მატარებლების მოძრაობის ორგანიზაციის თავისებურებანი

მატარებლების მოძრაობის ორგანიზაცია, გადაზიდვების პროცესები სატრასპორტო ოპერაციებში მიმართულია მგზავრებისა და ტვირთების გადაადგილებაში და წარმოადგენს ძირითად

მახასიათებელს არსებული რკინიგზების რეკონსტრუქციაში და ახალი რკინიგზების მშენებლობაში.

ზოგადად ყველა რკინიგზაზე და განსაკუთრებით რკინიგზის ერთლიანდაგიან უბნებზე განთავსებული ცალკეული პუნქტები, ასაქცევები და სადგურები გამიზნულია მატარებელთა მარშრუტების აქცევისა და გადასწრებისათვის.

გაჭიანურებულ ქანობების არსებობა აწესებს დამატებით შეზღუდვებს ხაზის გამტარუნარიანობისათვის მატარებლების უსაფრთხოდ მოძრაობის უზრუნველსაყოფად.


ხაზის გამტარუნარიანობის შეზღუვდაზე ასევე გავლენას ახდენს სიმაღლეთა ვარდნის შესაბამისად კლიმატური ზონების ცვალებადობაც (ტემპერატურული და ბარომეტრული ვარდნა) მატარებელთა მიერ უბნის გავლისას მოითხოვს სამურუქე რეჟიმების ცვლილებას. ავტომუხრუქების მოწყობილობების ზამთრის +5°C უფრო დაბალ ტემპერატურაზე კონკრეტული ტემპერატურულ პროგნოზული მნიშვნელობების ცვალებადობა აძლიერებს სამუხრუქე კოეფიციენტისა და თვლის რელსთან ჩაჭიდების კოეფიციენტის ზუსტი მნიშვნელობების განსაზღვრას.

ასეთ შემთხვევაში სამთო რკინიგზებზე მატარებლების უსაფრთხოდ მოძრაობის უზრუნველსაყოფისათვის განსაკუთრებული პირობით, პროექტით განსაზღვრულმა სადგურების საპროექტო სქემებმა და მოძრაობის მიღებულმა ორგანიზაციამ უბანზე, უნდა გამორიცხოს სადგურებში საწინააღმდეგო მიმართულების მოძრავი მატარებელთა ერთდროული მიღება და სადგურებში იმავე მიმართულებით მოძრავი მომდევნო მატარებლის ერთდროულად გაშვება და მიღება.

მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მომატებული ყურადღებაც გამოწვეულია სამთო რკინიგზების რთული რელიეფური, კლიმატური და მოძრაობის

განსაკუთრებული რეჟიმების გამო. განსაკუთრებული რეჟიმი კი სამთო რკინიგზებზე ძირითადად გამოიხატება მატარებელთა რეკუპერაციული დამუხრუჭების მოძრაობის რეჟიმებში.

რეკუპერაციულ დამუხრუჭების უბნებზე მაშინ, როდესაც აღმართებზე, წვევის რეჟიმში მოძრაობისას მატარებლებში წარმოიქმნება თანაბრად განაწილებული გრძივი გამჭიმავი ძალები, რეკუპერაციული დამუხრუჭების დაღმართებზე, რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმში მოძრაობისას მატარებლებში ვითარდება გრძივი მკუმშავი ძალები, რომელთა მაქსიმალური სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 500 - 600 კნ-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ლიანდაგიდან გადავიდეს მსუბუქად დატვირთული ან ცარილი ვაგონი ან ვაგონების ჯგუფი. ამ ძალების სიდიდეები დამოკიდებულია: საკონტაქტო ქსელში არსებული ძაბვის სიდიდეზე, ლოკომოტივის მოძრაობის სიჩქარზე და ელექტროსქემების ჩართვის თანმიდევრობაზე, მატარებლის მართვის რეჟიმზე(სურ 12).



სურ. 12. რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმში მოძრაე შემადგენლობაში განვითარებული გრძივი ძალები. ლოკომოტივის - *BJI 10*.
1;2 – 500 -300 A შემთხვევაში საკონტაქტო ქსელში 3000 კვ ძაბვისას

ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე: გრძივი ძალების მოქმედებისას, როდესაც იგი უტოლდებოდა 530 კნ-ს მოძრავ შემადგენლობაში ორღერძიან ცისტერნაზე შეინიშნებოდა თვლის წამოწევა რელსიდან 1-5 მმ. სიმაღლეზე, ხოლო 610 – 850 კნ ძალის მოქმედებისას თვლის წამოწევა რელსის თავიდან შეადგენდა 50 მმ-საც. ცხრილი № 5 მოცემულია კვლევების შედეგები გრძივი ძალების სხვადასხვა მნიშვნელობისას სხვადასხვა რეჟიმებში მოძრაობის პირობებში და ავტოგადასაბმელების სიმღლეების სხვაობა რელსის თავის დონიდან[26].

მატარებლების მოძრაობის სხვადასხვა რეჟიმებში ვაგონების ავტოგადაბმულობის დონეებსა და ღერძზე მოსული დატვირთვის მაქსიმალური სხვაობები

ცხრილი № 5

მატარებელთა მოძრაობის რეჟიმები	ვაგონების ავტოგადაბმულობის დონეებსა და ღერძზე მოსული დატვირთვის მაქსიმალური სხვაობის დროს			
	100 მმ		70 მმ	
	59	59 და მეტი	59	59 და მეტი
წვეთი რეკუპერაციული და მუხრუჭება ან მიწოლა	345	980	490	980 და მეტი
	245	640	295	740

ამ პირობებში რეკომენდირებულია მატარებლების ბოლოში მეორე ლოკომოტივის ჩაბმა (ცნობარი „წვეთი გათვალეები,, 1987 წელი), რომელიც გვატყობინებს დამუხრუჭებისას არასრულწონიანი ვაგონების გამოდევნის შესახებ, ამცირებს შემადგენლობაში გრძივი ძალების მოქმედებას.

რეკუპერაციული დამუხრუჭების უბნებზე ვაგონების ამოგდება შესაძლებელია გამოიწვიოს ასევე უფრო მცირე სიდიდეების ძალებმა თუ ლიანდაგის გეგმა და პროფილი არ შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს. ამიტომ სამთო რკინიგზებზე მატარებლების შედგენის წესი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

რთულ მთიან პირობებში დაღმართებზე მოძრაობისას ერთ ერთ უმნიშვნელოვანე პრობლემას წარმოადგენს მართვა დაკარგული მატარებლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მთიან პირობებში მაღალ ქანობიან დაღმართებზე მართვა დაკარგული მატარებლის გაჩერება პრაქტიკულად არა რეალურია. ასეთ შემთხვევაში პროექტის მიერ კომპლექსურად უნდა გაანალიზდეს მართვა დაკარგული მატარებლებისათვის უსაფრთხოდ ან რაც შეიძლება ნაკლებ დაზიანების ღონისძიებები. შესაბამისად უშუალოდ საპროექტო ღონისძიებების დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მოქმედების პრინციპები. კერძოდ:

- მართვა დაკარგული მატარებელი არ შეიძლება იქნას მიღებული სამგზავრო მატარებლით დაკავებულ ლიანდაგზე(შემადგენლობა მგზავრთა ჩასხდომის დროს);
- მართვა დაკარგული მატარებელი არ შეიძლება მიმართული იქნას გადასარბენზე, რომელზეც იმყოფება სამგზავრო მატარებელი, თუნდა იგი მოძრაობდეს მოძრაობის მიმართულებით და არსებობდეს იმის გათვლა, რომ ის დაჯახებამდე გაანთავისუფლებს გადასარბენს და შევა სადგურის თავისუფალ ლიანდაგში;
- მართვა დაკარგული მატარებელი არ შეიძლება გადაყვანილი იქნას უშუალოდ სამგზავრო მატარებლის ახლოს (მეზობელ ლიანდაგში);
- მართვა დაკარგული მატარებელი არ შეიძლება მიღებული იქნას დაკავებულ ლიანდაგში საშიში ტვირთებით(ასაფეთქებელი ნივთიერება, თხევადი და ა. შ.);

აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით პროექტით უნდა განისაზღვროს მართვა დაკარგული მატარებლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვარიანტები:

ვარიანტი I - ოპტიმალური ვარიანტი

გაატაროს მართვა დაკარგული მოძრავი შემადგენლობა სადგურში, შემდეგ გადასარბენზე გასვლით თუ:

- გადასარბენზე არ არის სამგზავრო მატარებელი;
- გადასარბენი არ არის განლაგებული გაჭიანურებულ დარმართზე;
- გადასარბენზე არ არის დაუცველი სარკინიგზო გადასავლელი ავტომანქანების ინტენსიური მოძრაობით ანუ შესაძლებელია გადასავლელზე შლაგბაუმების მოქმედებით ავტომობილების ნაკადის შეწყვეტა.

ასეთ შემთხვევაში დამჭერი ჩიხის მოწყობა ან სხვა სპეციალური ღონისძიებების გატარება არ არის აუცილებელი.

ვარიანტი II - მივმართოთ მართვა დაკარგული მატარებელი დამჭერ ან დამცავ ჩიხში, გამწევ ლაინდაგში და ა.შ. თუ ასეთი მოქმედებები გარანტიას იძლევა მოძრავი შემადგენლობის ლიანდაგიდან აცდენის ან გადაგდების შემთხვევაში არ იქნება დაზიანებული სხვა მატარებლები ან ნაგებობები.

ასეთ შემთხვევაში პროექტის წინაშე დგება დამჭერი დამცავი ნაგებობების ოპტიმალური ადგილმდებარეობის განსაზღვარა.

ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას პირველ ვარიანტში მოცემული პირობებიც.

ვარიანტი III - მივმართოთ მართვა დაკარგული მატარებელი დაკავებულ ლიანდაგში

- აკრძალულია: მართვა დაკარგული მატარებელი მიმართული იქნას საშიში ტვირთებით და იმ მატარებლით

დაკავებული ლინდაგში რომელშიც სხედან მგზავრები ან მიმდინარეობს ჩასხომა;

ასეთ შემთხვევაში პროექტის მიერ მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას სადგურის სალიანდაგო განვითარების ისეთი სქემა სადაც მუდმივად იქნება ერთი თავისუფალი ლიანდაგი;

- მართვა დაკარგული მატარებლის შესახვედრად გაგზავნილი იქნას ლოკომოტივი ან მოძრავი შემადგენლობა.

ამ განსაკუთრებული შემთხვევის გამოყენება აუცილებელი ხდება, როდესაც სხვა დამცავი საშუალებების მოწყობა მიუღებელია ან ეს მოწყობილობები ვერ უზრუნველყოფენ მართვა დაკარგული მატარებლებისათვის ზემოდ ჩამოთვლილი პირობების უზრუნველყოფას.

ამასთან ერთად ამ შემთხვევაში პროექტის მიერ ეს ღონისძიებაც უნდა იყოს განხილული, რომ აცდენილმა ან გადავარდნილმა მატარებელმა არ დააზიანოს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები ან მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა და, რომ გადასარბენზე მატარებლების შეჯახების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება შესაძლო მინიმალური ზარალი.

ყველა ვარიანტში პროექტმა უნდა გაითვალისწინოს გეგმის, პროფილის, სადგურების განვითარების გეგმის ისეთი ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც ექსპლუატაციაში არ დაუშვებს მართვა დაკარგული მატარებლების გადაგდების ან მატარებელზე დაჯახების შესაძლებლობას.

2.7. მთიან პირობებში ლიანდაგის ზედა ნაშენის ტიპის შერჩევის და მისი პროექტირების თავისებურებანი


მთიან პირობებში რკინიგზის გეგმისა და პროფილის მინიმალური დარღვევების გამო გამოწვეული გვერდითი ძალები რეკუპერაციული დამუხრუჭების შედეგად ჩვეულებრივ უბნებთან

შედარებით იწვევს ლიანდაგის ზედა ნაშენის მომატებულ ცვეთას და შესაბამისად მის მწყობრიდან ნაადრევად გამოსვლას (სურ 13) [26].

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე ლიანდაგში იზრდება ნარჩენი დეფორმაციების დაგროვება და მოძრავი შემადგენლობიდან ლიანდაგზე გადაცემული დინამიკური ძალების გაზრდა. ეს ფაქტორები იწვევს მიმდინარე მოვლა შენახვის ხრჯების გაზრდას 1.5 – 2.0-ჯერ . სურ 14.

რეკუპერაციული დამუხრუჭებს უბნებზე იცვლება არა მარტო სამუშაოების მოცულობა არამედ სამუშაოთა ხასიათიც. თითქმის 80% სამუშაოებისა ტარდება ლიანდაგის პარამეტრების გასასწორებლად.

აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე გამოწვეული ფაქტორების შემცირება არ არის განსაზღვრული სამშენებლო ნორმებით და წესებით და მისი პრაქტიკაში განხორციელებისათვის საჭიროა კომპლექსური დაპროექტების მიდგომები შემდეგი ქვემოთ მოყვანილი პირობების გათვალისწინება.




სურ. 13. რეკუპერაციული დამუხრუჭების უბნებზე ლიანდაგის ზედა ნაშენის დაზიანების შედეგები

- 1-3 -რკ/ბეტონის და ხის შპალები რეკუპერაციული დამუხრუჭების არ მქონე უბნებისათვის
- 2 -4 - იგივე რეკუპერაციული დამუხრუჭების უბნებზე
- 5 - რელსები რეკუპერაციული დამუხრუჭების არ მქონე უბნებისათვის
- 6 - რელსები რეკუპერაციული დამუხრუჭების უბნებისათვის

ლიანდაგის ზედა ნაშენის ერთ ერთი ძვირად ღირებული ელემენტის - რელსის სამსახურის ვადის გახანგძლიებაში დიდი როლი ენიჭება: ლიანდაგის საექსპლუატაციო პირობებს; მატარებლების მოძრაობის რეჟიმებს და შპალების სახეობას.

როგორც მოგეხსენებათ მატარებლების რეკუპერაციულ რეჟიმში მოძრაობისას მოძრავ შემადგენლობაში წარმოიქმნება გრძივი, არათანაბარი სიდიდის ძალები, რომლის ვექტორიც მიისწრაფის მატარებლის თავისაკენ. ამ ძალების მნიშვნელობა და სიდიდე დამოკიდებულია საკონტაქტო ქსელის ჩამონაკიდში არსებული ძაბვის ცვალებადობაზე, ელექტროძრავების ჩართვის თანმიმდევრობაზე და ძრავის ღუზაზე მოსული დენის სიდიდეზე[26].



სურ. 14. შომის ფაქტორი დანახარჯი კაც დღე 1 - კმ-ზე წელიწადში:
 1 - რეკუპერაციული დამუხრუჭების მონაკვეთებზე
 2 - რეკუპერაციული დამუხრუჭების არ მქონე უბნებზე

აქედან გამომდინარე რეკუპერაციულ უბნებზე ლიანდაგის ზედა ნაშენსა და მის თითოეულ ელემენტს, მექანიკური დამუხრუჭების უბნების ლიანდაგებთან შედარებით წაეყენება უფრო მკაცრი მოთხოვნები. განსაკუთრებით ერთლიანდაგიან შერეული მოძრაობის უბნებზე, რადგან რეკუპერაციული დამუხრუჭებისას მრუდებში,

რელსის თავზე თვლის გორვის ზედაპირის წრის ფართობის ცვლილება იწვევს გვერდითი ძალების ზრდას, რაც აჩქარებს სამაგრისების მწყობრიდან გამოსვლას, ინტენსიურს ხდის რელსების გვერდით და ვერტიკალურ ცვეთას, რასაც საბოლოოდ ნაჩქარევად, მწყობრიდან გამოყავს ლიანდაგის ზედა ნაშენი.

ასევე ცნობილია, რომ, როგორც მექანიკური დამუხრუჭების ისე, რეკუპერაციული დამუხრუჭების უბნებზე რელსებზე მოქმედებს დამაბულობის და დეფორმაციის გამომწვევი რამოდენიმე სახის ძალა, ხოლო რეკუპერაციული დამუხრუჭების უბნებზე ამ ძალების მოქმედებას ემატება ისიც, რომ ლოკომოტივის მუდმივად თანაბარი სიჩქარით მოძრაობის უზრუნველსაყოფად გოგორწყვილების ქვეშ ხდება სილის დაყრა. ლოკომოტივებზე არსებული სილის გამომშვები მოწყობილობები ვერ უზრუნველყოფენ ქვიშის თანაბარ განაწილებას რელსის თავის ზედაპირზე, რის გამოც რეკუპერაციულ უბნებზე რელსის ლოკომოტივების მიერ წაბუქვის შედეგად გაჩენილი დეფექტები ორჯერ და მეტჯერ მეტია ვიდრე სხვა უბნებზე, ასევე გაზრდილია რელსების წარეკვის მაჩვენებლებიც. მაგალითად:

ხაშური ზესტაფონის უბანზე ნორმალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს რელსების დაზიანებები სადგურის ლიანდაგებში, შესასვლელ და გასასვლელ შუქნიშნებთან თუმცა გადასარბენებზეც აღინიშნება დეფექტები, რომელთა ერთ ერთი გამომწვევი მიზეზი არის ლოკომოტივების ქვიშის გარეშე მოძრაობა ან ქვიშის არათანაბარი განაწილება რელსის თავზე. საქართველოს რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის 2003 წლის 10 მაისის მონაცემების ანალიზით რელსები დეფექტური სურათით №14 ყოფილ ხაშურის სალიანდაგო დისტანციაში აღირიცხა 1232 რელსი. სხვა დისტანციებში:

- სამტრედიის სალიანდაგო დისტანცია - 79;
- ინგირის სალიანდაგო დისტანცია - 116;
- ზესტაფონის სალიანდაგო დისტანცია - 290

- თბილისის სალიანდაგი დისტანცია - 617
- ნავთლულის სალიანდაგო დისტანცია - 1929.

ჩამონათვალიდან ჩანს, რომ რელსის დეფექტური სურათი №14 ყველაზე მეტი აღინიშნა ხაშურის სალიანდაგო დისტანციაში თუ არ ჩავთვლით ნავთლულის სალიანდაგო დისტანციას, რომლის საექსპლუატაციო სიგრძე სამჯერ მეტია სხვა დისტანციების სიგრძეზე და დისტანციის აღმოსავლეთი მიმართულების ლიანდაგების (თბილისი სადახლო; მარაბდა - ახალქალაქის უბანი) გეგმა და პროფილი საკმაოდ რთულ პირობებში არის აშენებული.

ხაშური - ზესტაფონის უბნის მაგალითზე შეიძლება გაანალიზებული იქნას სალიანდაგო ღორღის ქვიშით გაჭუჭყიანების ინტენსიობა. ხაშურის სალოკომოტივო დეპო წლის განმავლობაში მოიხმარს დაახლოებით 300 მ³ ქვიშას. ორი ერთეული ლოკომოტივით მოძრაობისას ძირითადად ქვიშის მოხმარება ხდება ხარაგაული - წიფის(2343 – 2367 კმ) გადასარბენზე; წიფის გვირაბში(2370 კმ); დამატებული (მძიმეწონიანინ მატარებლების შემთხვევაში) ძირულა - ხარაგაულის გადასარბენის კენტი მიმართულება (2334-2344 კმ) სულ 27 – 30 კმ. -ზე.

ლიანდაგის ზედა ნაშენზე ზემოდ ჩამოთვლილი მოქმედი აგრესიული ფაქტორების გათვალისწინებით სამთო რკინიგზებზე ლიანდაგის ზედა ნაშენის დასაპროექტებლად ხის შპალების დაპროექტების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1. რელსების მომატებული დაზიანებები - მათი ხშირი ცვლა;
2. რელსების წაძვრის მომატებული საშიშროება, რის შესამცირებლად წარეკვწინაღობის დამაგრების ნორმები უნდა გაიზარდოს 30 % ანუ წარეკვწინაღობი უნდა დამაგრდეს სტანდარტული რელსის მთელ სიგრძეზე.

3. რელსის ფუძის ქვედებზე, მუდმივად მჭიდროდ მიბჯენის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ამ უბნისთვის შექმნილი უნდა იქნას მაღალ ქანობებზე მომუშავე სპეციალიზირებული ლიანდაგის გამასწორებელ მარიხტებელ ამომტენის მანქანა (BIIPC).

4. მიმდინარე მოვლა შენახვის სამუშაოების მომატებული ხარჯები.

5. მკაცრი ზამთარის პირობებში (თოვლი, ძლიერი ყინვა, ქარბუქი) რელსა და ქვედს შორის თოვლის ამოტენვა, შემდეგში მისი ჩაყინვა მუმივად საფრთხეს შეუქმნის მატარებლების უსაფრთხოდ მოძრაობას.

6. საქართველოში მცირე ტყიანობის პირობებში და ეკოლოგიური უსაფრთხოების გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის ხის შპალების დამზადება, მითუმეტეს, რომ ქართული ხის ჯიშებისაგან დამზადებული შპალების სამსახურის ვადა პრაქტიკულად საუღელტეხილო უბნებზე შეადგენს 3-5 წელიწადს. საზღვარგარეთიდან შემოტანილი ხის მაგარი ჯიშის შპალების ფასი უტოლდება საქართველოში დამზადებული რკ/ბეტონის შპალების ფასს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამთო რკინიგზების უბნებზე რკ/ბეტონის შპალების გამოყენებას ალტერნატივა არ აქვს.

2.8. უპირაპირო ლიანდაგის ჩასახვის და განვითარების ისტორია

უპირაპირო ლიანდაგის უპირატესობამ რგოლურ ლიანდაგთან შედარებით დღის წესრიგში დააყენა ლიანდაგის ზედა ნაშენის კონსტრუქციის მოდერნიზაცია უპირაპირო ლიანდაგზე გადაყვანით. პირაპირებიანი ლიანდაგის მთელი რიგი უარყოფითი თვისებების გათვალისწინების გამო.

ყველა შემთხვევაში პირაპირი დიდი ხნის მანძილზე წარაადგენდა ლიანდაგის ზედა ნაშენის კონსტრუქციის შეუცვლელ ელემენტს, რადგანც ის არეგულირებდა:

- ტემპერატურის ცვლილების გამო რელსის თავისუფლად გადაადგილებას;

- ტექნიკის სიმცირის პირობებში სამუშაოების დროულად ჩატარებას.

ეს პირობები დიდ ხნის მანძილზე განსაზღვრავდა პირაპირის არსებობას.

უპირაპირო ლიანდაგი არის პირობითი სახელწოდება გრძელი რელსებისა, პირაპირიდან პირაპირამდე, რომლის სიგრძე გაცილებით დიდია სტანდარტულ რელსზე[16].

რკინიგზის განვითარებასთან ერთად პირაპირების ლიკვიდაციის შედეგად მიმდინარეობდა რელსების დაგრძელება:

ვარშავა - ვენის რკინიგზაზე 1857 – 1867 წლებში მთავარ ხაზებზე გამოიყენებოდა რელსები სიგრძით 4,57 მ; სადგურის ლიანდაგებში 2,13 მ. სიგრძით. მოსკოვი - სანკტ-პეტერბურგის რკინიგზაზე 1851 წელს მთავარ ხაზე გამოიყენებოდა რელსები 5,487 მ. სიგრძით. XIX საუკუნის 70 წლებიდან გამოყენებაში შედის 7,315 მეტრიანი(24 ფუტი), 80 წლებიდან - 8,534 მეტრიანი(28 ფუტი), 1909 წლიდან რუსეთში ნება ეძლევა დააგონ რელსები სიგრძით 12,8 და 14,94 მეტრი. [16]

1905 წელს რკინიგზების ასოციაციის V კონგრესზე მიღებული იქნა 24 მეტრიანი სიგრძის რელსების გამოყენების გადაწყვეტილება.

სარკინიგზო მაგისტრალებზე პირველი უპირაპირო ლიანდაგი გერმანიაში მოეწყო 1924 წელს, აშშ-ში 1930 წელს, ყოფილ სსრკ-ში 1934 წელს.[16]

მსოფლიოში უპირაპირო ლიანდაგის ფართოდ გამოყენება დაიწყო გასული საუკუნის 60-ან წლებში ანუ მაშინ, როდესაც რკინიგზებზე დაიწყო მატარებლების მასისა და სიჩქარეების გაზრდა და როდესაც ათვისებული იქნა რკ/ბეტონის შპალების წარმოება.

ამ ხნის გამწვანებაში უპირაპირო რელსებით მოწყობილმა ლიანდაგებმა გაიარა საკმარისი გამოცდა განსხვავებულ საექსპლუატაციო და კლიმატურ პირობებში. უპირაპირო ლიანდაგი გამოიყენება გამოკვეთილი სატვირთო მოძრაობის უბნებზე ტიპური ვაგონებით, ღერძზე მოსული დატვირთვით 250-270 კნ და

ტვირთდაძაბულობით 50-70 ბრუტო მლ. ტ კმ წელიწადში. სამგზავრო მატარებლების მოძრაობის უზნებზე სიჩქარით 350 კმ/სთ. გაჭიანურებულ ქანობებზე 20-25‰, მცირე რადიუსიან მრუდებში $R < 300$ მ. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდის ცვლილებით 110 °C.

ამ ეტაპზე უმრავლეს ქვეყნებში გარდა ყოფილი სსრკ-ში შემავალი ქვეყნებისა უპირაპირო ლიანდაგი პროექტირდება და ეწყობა სიგრძის შეუზღუდავად რამოდენიმე სადგურის სიგრძეზე, რომელშიც ჩადუღებულია საისრე გადამყვანებიც. უპირაპირო ლიანდაგი, როგორც ტიპური კონსტრუქცია გამოიყენება, როგორც ხის ასევე რკ/ბეტონის შპალებზე და ყველა ახლადშენებარე გზები პროექტირდება უპირაპირო ლიანდაგის დასაგებად.

საქართველოს რკინიგზაზე უპირაპირი რელსების შედუღება დიდ სიგრძეზე ატარებს საცდელ ხასიათს, რომელზეც არ ხორციელდება რელსების დაძაბულობის კონტროლის ელექტრონული მონიტორინგი, არ არის შემუშავებული შედუღებული გადბმებიდან დეფექტური ნაწილების ამოჭრის და ამოჭრილი პირაპირების შემდგომი გამთლიანების პირობები, არსებულ რკინიგზებზე მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის სიგანე ვერ უზრუნველყოფს უპირაპირო ლიანდაგისათვის მინიმალური სიგანის ბალასტის გვერდულას დაცვას.

თანამედროვე პირობებში მიღებულია უპირაპირო ლიანდაგის სამი ტიპის კონსტრუქცია:

1. ტემპერატურულად დაძაბული უპირაპირო ლიანდაგის კონსტრუქცია, როდესაც ტემპერატურის საანგარიშო ამპლიტუდა ნაკლებია დასაშვებზე ანუ ჩამაგრების ტემპერატურის ინტერვალი მეტია 10°C;
2. ტემპერატურულად სეზონურად დაძაბული უპირაპირო ლიანდაგის კონსტრუქცია, როდესაც ჩამაგრების ტემპერატურის ინტერვალი ნაკლებია 10°C;

3. თვით განმუხტვადი უპირაპირო ლიანდაგის კონსტრუქცია, რომლებიც ძირითადად გამოიყენება ხიდების გადასაფარად [16].

საქართველოს რკინიგზაზე, როგორც უპირაპირო ლიანდაგის ტიპიურ კონსტრუქციად მიღებულია ტემპერატურულად დამაბული ლიანდაგი სეზონური ტემპერატურული განმუხტვის გარეშე.

2.8.1. გასარბენის სიგრძის პირაპირო ლიანდაგის უპირატესობა

დადგენილი და განსაზღვრულია გადასარბენის სიგრძის რელსებით მოწყობილი ლიანდაგის უპირატესობა 800 მეტრიან ან სტანდარტულ რელსებიან ლიანდაგთან. კერძოდ:

პირველ რიგში პირაპირების ლიკვიდაციით უპირაპირო ლიანდაგის მოწყობის შედეგად მიიღწევა ლითონის დიდ ეკონომიას. P-65 ტიპის 12.5 მ. სიგრძის რელსებიანი რგოლური ლიანდაგისათვის 1 კმ-ზე ლითონის ეკონომია შეადგენს 8.26 ტ-ს; 25 მეტრიან რელსების შემთხვევაში ეკონომია შეადგენს 4.13 ტ-ს. ეკონომია მიიღწევა პირაპირების მოსაწყობად საჭირო ლითონის(ზედები, ჭანჭიკები, ქანჩები, საყელურები)შედეგად, რაც თავის მხრივ ამცირებს მიმდინარე მოვლა-შენახვაზე გასაწევ ხარჯებს.[17]

უმჯობესდება რელსების ელექტროიზოლიაცია, რის გამოც 15-25%-ით მცირდება წვევის დენის დაკარგვა და 4-6-ჯერ მცირდება კოროზიით დაზიანებული რელსებისა და სამაგრების რაოდენობა.[17]

მიმდინარე მოვლა-შენახვაზე გასაწავი ხარჯების შემცირების გარდა უმჯობესდება მოძრავი შემადგენლობის და ლიანდაგის ურთიერთქმედება, რაც გარდა მატარებლების კომფორტაბელური მოძრაობისა აისახება საწვავის და ელექტროენერჯის მოხმარების შემცირებაში, მოძრავი შემადგენლობის სარემონტო ხარჯების შემცირებაში.

უპირაპირო ლიანდაგის რელსები რგოლური ლიანდაგის რელსებთან შედარებით ატარებენ 10 %-ით მეტ ტონაჟს. რგოლურ ლიანდაგთან შედარებით გვერდითი არათანაბარი ცვეთის ინტენსიობაც ნაკლებია.

აღნიშნული უპირატესობის გამო ბევრ ქვეყნებში შეუზღუდავი სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის გაშლილი სიგრძე შეადგენს მთელი რკინიგზების სიგრძის 60-90 %-ს.

2.8.2. «Pandrol Fastklip»-ის სარელსო სამაგრისებიანი რკ/ბეტონის შპალების ტექნიკური მახასიათებლები და ანალიზი (შედარება სხვა ტიპის სამაგრებთან)

საქართველოს რკინიგზის მთავარ ხაზებზე შუალედური სარელსო სამაგრების ძირითად ტიპად 2000 წლიდან მიღებულია «კანდროლ ლიმიტედის» (ბრიტანეთი) სპეციალისტების მიერ დამუშავებული «Pandrol fastklip»-ის (სურ № 15) ზამბარული სამაგრისები, რომლებიც შექმნილი იქნა სალიანდაგო სამუშაოების ეფექტურობის გაზრდის, ვადების შემცირების, სიჩქარეების მომატების (250 კმ/სთ) და უპირაპირო ლიანდაგის შეუზღუდავი სიგრძით მოწყობის მიზნით.



სურ. 15. Pandrol fastklip -ის სისტემის სარელსო სამაგრი

როგორც აღმოჩნდა აღნიშნული პირობების დასაკმაყოფილებლად ლიანდაგში წარმოქმნილი რხევების(რყევების) ჩასაქრობად სასურველი ეფექტი მიიღწევა დრეკადი თვისებების მქონე კლემების და ელასტიური რელსქვედა ამორტიზატორ - საფენების ერთობლივი კონსტრუქციის შემთხვევაში.

«Pandrol fastklip»-ის სისტემის სამაგრების ათვისება დაიწყო 1992 წელს და იგი სხვა სამაგრებიდან ბევრი დადებითი ფაქტორებით გამოირჩევიან. კერძოდ:

1. იზოლატორიანი მოზამბარე კლემა.

- დრეკადი კლემა - დამატებითი ღონისძიებების გატარების გარეშე უზრუნველყოფს რელსის მუდმივი ძალით დაჭერას რელსქვეშა საფენით, შპალის ზედაპირზე;
- კლემის იზოლატორი ამცირებს ლითონის კლემასა და რელსის კონტაქტს, რითაც აუმჯობესებს ელექტროიზოლაციას.

2. გვერდითი იზოლატორები.

- უზრუნველყოფს ლიანდის სიგანის მუდმივობას;
- უზრუნველყოფს იდიალურ ელექტო იზოლაციას.

3. ანკერი.

- შპალში ჩამონტაჟებული ანკერი თანაბრად ანაწილებს შპალზე მოსულ დამაბულობას;
- არ დეფორმირდება დაწოლის დროს, რის გამოც პრაქტიკულად არ გამოდის მწყობრიდან და გვერდით იზოლატორთან ერთად უზრუნველყოფს ლიანდის სიგანის მუდმივობას.

4. რეზინის ქვესადები.

- სპეციალური დრეკადი რეზინის ქვესადები, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ სიმტკიცეს და ხახუნის მაღალ კოეფიციენტს, რის გამოც შპალს და ბალასტს გადაეცემა ნაკლები დატვირთვები. კლემასთან ერთად უზრუნველყოფს რელსის მყარად დამაგრებას.

5. კომპლექტაცია.

- რგოლამწყო ბაზას შპალი მიეწოდება აწყობილი, კომპლექტში, რაც აჩქარებს რგოლების აწყობას, ათავისუფლებს დამატებით მუშახელს. ტემპერატურული განმუხტვის, რელსის ცვლის და შპალების ტრანსპორტირების დროს სამაგრები პრაქტიკულად არ იკარგება.

6. დამჭერი თვისება.

- რელსის დაჭერისათვის აუცილებელი ძალა ავტომატიურად აღიძვრება კლემის მუშა მდგომარეობაში გადაყვანასთან ერთად, რითაც უზრუნველყოფილია რელსების გრძივი წარეკვის გამორიცხვა.
- არ აქვს რებორდები და ჭანჭიკები, რაც არ მოითხოვს მათ გაპოხვას, პერიოდულ გადაჭერას, წყლის, თოვლის ან ყინულის მოცილებას სამაგრების სიცარიელებებიდან.

7. შეკეთება.

- სამაგრის ელემენტების შეცვლისას არ არის საჭირო ჭანჭიკის, ქანჩის ან სჭვალის მოშვება, მოხსნა;
- ეკონომია ლითონის ყოველ 1 კილომეტრ ლიანდაგზე «КБ», «ЖБР» ტიპის სამაგრისებთან შედარებით ნაკლებია 20 ტონით და მოვლა შენახვის ხარჯები ნაკლებია ხუთჯერ.

აღნიშნული სამაგრები გამოიყენება 110 ქვეყანაში და ამ სამაგრებზე მოწყობილი ლიანდაგის სიგრძე შეადგენს 330 000 კმ. მათ შორის «Pandrol fastklip»-ის სისტემის სამაგრისები გამოიყენება ისეთი ჩქაროსნული რკინიგზებზე როგორებიცაა SNGF და TGV mediterranean (350კმ/სთ) საფრანგეთი, Tohoku SHINKANSEN (275კმ/სთ)იაპონია, Amtrak (250 კმ/სთ) აშშ. 2007 წლის 3 აპრილს საფრანგეთში მეც - პარიზის გადასარბენზე, რომელიც დაგებულია «Pandrol fastklip»-ის სისტემის სამაგრებიანი შპალები, განვითარებული იქნა სიჩქარე 574,8 კმ. საათში

საქართველოს რკინიგზაზე 2000 წლიდან გამოიყენება რკ/ბეტონის შპალები «Pandrol fastclip»-ის ანკერული სამაგრებით. პირველი ლიანდაგი ამ ტიპის სამაგრებით დაიგო სადგურ ოზურგეთში.

აღნიშნულ სამაგრებიან შპალებზე უპირაპირო ლიანდაგის დაგება მიმდინარეობს მარაბდა - ახალქალაქის სარეაბილიტაციო სარკინიგზო მონაკვეთზე - P-65 ტიპის რელსებით და ახალქალაქი - კარწახის ახლადმშენებარე სარკინიგზო მონაკვეთზე - UIC 60 ტიპის რელსებით.

მარაბდა - ახალქალაქის მონაკვეთზე უპირაპირო ლიანდაგები პროექტის შესაბამისად ეწყობა სწორში და მრუდში $R > 350$ მ; ლიანდის სიგანე 1520 მმ; რელსის ტიპი P-65, ქანობი მთელს მონაკვეთზე გაჭიანურებულია და შეადგენს 35%-ს. უპირაპირო რელსების შედუღება, როგორც სტაციონალურ ასევე საველე პირობებში მიმდინარეობს ელექტოკონტაქტური შედუღების მეთოდით.

ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე ლიანდაგები პროექტის შესაბამისად ეწყობა სწორში და მრუდში $R > 600$ მ; ლიანდის სიგანე 1435მმ; რელსის ტიპი UIC 60, ფოლადის მარკა 900A, სახელმძღვანელო ქანობი 18%. უპირაპირო რელსების შედუღება, მიმდინარეობს საველე პირობებში ალუმინოთერმიტული შედუღების მეთოდით.

სამშენებლო ორგანიზაციის მიერ ჩაგებული იქნა და შემდეგ შედუღებული, როგორც 200 - 400 მეტრიანი სარელსო გადაბმები ასევე 25 მეტრიანი რელსები. მარაბდა - თაეთრიწყაროს მონაკვეთზე უპირაპირო ლიანდაგის საშუალო სიგრძე შეადგენს 800-1500 მეტრს. ექსპლუატაციაშია სამი წელიწადი სატაბილიზაციის გარეშე და მიუხედავად ამისა რაიმე ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

უპირაპირო რელსების მოწყობისათვის პროექტში დამუშავებული იყო ორი ტიპის კონსტრუქცია: შეზღუდული სიგრძის და გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგების მოწყობის შესაძლებლობები. აქაც უპირაპირო რელსების შეზღუდული სიგრძე განაპირობა

„გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის მოწყობის და ექსპლუატაციის" ნორმატიული დოკუმენტაციის არ არსებობამ.

**«Pandrol fastklip»-ის და «KB» ტიპის სარელსო სამაგრების
ტექნიკური მახასიათებლები**

ცხრილი № 6

№	მაჩვენებლები	განზ. ერთეული	სამაგრის ტიპი	
			Pandrol fastklip	KB-65
1	ერთ კვანძზე დეტალების რაოდენობა	ცალი	7	21
2	დეტალების წონა ერთ კვანძზე	კგ	3.9	12.3
3	კლემის დაჭერა რელსზე	კნ	13	8.5-12
4	კლემის ვერტიკალური სიხისტე	კნ/სმ	9.0	11.1-80.5
5	გრძივი წინაღობა რელსის ძირზე გრძივი წაძვრისას (ეპიურა 1840 ც/კმ)	კნ/მმ	23.9	16.7-20.8
6	რელსისი მდებარეობის რეგულირება სიმაღლეზე	მმ	0	10
7	ლიანდის სიმაღლის რეგულირება	მმ	6	5
8	ქვესადების ვერტიკალური სიხისტე	კნ/მმ	60	46-81
9	დამაგრების კვანძის ვერტიკალური სიხისტე	კნ/სმ	780	485-971
10	დამაგრების კვანძის გრძივი სიხისტე	ნ/მმ	13000	8000-11300

«Pandrol fastklip»-ის სამაგრის მუდმივი ტექნიკური მახასიათებლების გამო უგულებელყოფილია რელსის ბოლოების გადადგილება, რაც შეუზღუდავი სიგრძის უპირაპირო ლიანდაგების მოწყობის შესაძლებლობას იძლევა.

2.8.3. P-65 და UIC 60 ტიპის რელსების ტექნიკური პარამეტრების შედარება

რელსის სიმძლავრე განისაზღვრება ორი თვალსაზრისით:

- სიმტკიცის თვალსაზრისით;
- სამსახურის ხანგძლიობის თვალსაზრისით.

ლიანდაგში ჩაწყობილი რელსები თანდათან ცვთებიან და სუსტდებიან. ყოვლად მიუღებელი იქნებოდა, რომ მცირეოდენი ცვეთის შემდეგ რელსის კვეთი იმდენად შესუსტებულიყო, რომ საშიში გამხდარიყო მოძრაობისათვის. ეკონომიკური პირობები გვკარნახობენ, რომ რელსმა უნდა იმუშაოს ხანგძლივად და ამისათვის საჭიროა რელსის სიმძლავრე აიღებოდეს მეტობით ე.ი. ერთგვარი მარაგით მაგრამ მარაგი არ უნდა იყოს ძალიან დიდი.[1]

ასევე არსებობს მოსაზრება, რომ რელსის ოპტიმალური სიმძლავრე უნდა განისაზღვროს უმთავრესად ეკონომიური თვალსაზრისით. აღნიშნული ფაქტორების რეალიზაცია შესაძლებელია რელსის წონის გაზრდის ტენდენციაში ანუ რელსის წონის გადიდება განიხილება, როგორც საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს რელსის სიცოცხლის უნარიანობის ხანგძლიობას, მატარებლების უსაფრთხო მოძრაობას და სალიანდაგო სამუშაოების ხარჯების შემცირებას.[1] ამჟამად გამოყენებული P-65 და UIC 60 ტიპის რელსების წონა სავსებით აკმაყოფილებს წაყენებული მოთხოვნებს პერსპექტივის გათვალისწინებით და მამასადამე რელსის წონის შემდეგი გაზრდა დღის წესრიგში არ დგას.

ახალქალაქი - კარწახი - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულების სარკინიგზო მონაკვეთი შეესაბამება ევროპული ქვეყნების რკინიგზების სტანდარტებს, რამაც საშუალება მოგვცა ლიანდაგის ზედა ნაშენისათვის შეგვერჩია ევროპული სტანდარტების თერმულად განმტკიცებულ თავიანი UIC 60 ტიპის რელსები. ასეთი

რელსები ევროპის რკინიგზებზე გამოიყენება უბნებზე 50-70 მლნ ტ/კმ ბრუტო წელიწადში დაძაბულობით და ჩქაროსნულ მაგისტრალებზე. [24]

მთავარი ნაკლოვანება P-65 ტიპის რელსებისა UIC 60 ტიპის რელსებთან შედარებით არის გაზრდილი წონა, რელსის განივ კვეთში ლითონის არათანაბარი განაწილება და შედარებით მეტი სიხისტე, განსაკუთრებით ჰორიზონტალურ სიბრტყეში. [24]

როგორც ცხრილი №7-დან ჩანს UIC 60 ტიპის რელსები ზომებში თითქმის იდენტურია P-65 ტიპის რელსებისა. რელსის ფუძის თანაბარი ზომების დროს რელსის სიმაღლეები, შეადგენს 172.00 მმ. და 180.00 მმ. რაც UIC 60 ტიპის რელსებში ამცირებს გრეხვის მომენტის სიდიდეებს ამასთან ერთად UIC 60 ტიპის რელსების განივ კვეთში ფოლადი უფრო ოპტიმალურადაა განაწილებული და რელსის თავში ლითონის წილი უფრო მეტია (40.1%) ვიდრე P-65 ტიპის რელსის თავში (34.11%).


P-65, P-50 და UIC 60 ტიპის რელსების ტექნიკური პარამეტრები

ცხრილი № 7

პარამეტრები	პარამეტრების მნიშვნელობა მმ. რელსებისთვის		
	P-65	UIC 60	P-50
რელსის თავის სიგანე: ვერტკალურ სიბრტყეში ----- ჰორიზონტალურ სიბრტყეში	49.1 75.0	52.0 74.3	45.7 72.0
რელსის თავის სიმაღლე	45.0	51.0	42.0
რელსის თავის დახრა	1:4	1:2.75	1:4
რელსის ყელის რადიუსი	370.0	120.0	325.0
რელსის ყელის სისქე	18.0	16.5	16.0
რელსის ყელის სიმაღლე	105.0	89.5	83.0
რელსის ფუძის დახრა	1:4	1:2.75 და 1:14	1:4
რელსის ფუძის სიგანე B	150.0	150.0	132.0
რელსის სიმაღლე H	180.0	172.0	152.0
შედარება B/H	0.833	0.872	0.868

გორვის ზედაპირის რადიუსი UIC 60 ტიპის რელსებისათვის ნაკლებია, რის შედეგად ნაკლებია დატვირთვის ექცენტრისიტეტი, მაგრამ მაღალია კონტაქტური დამაბულობები. რელსის თავის მომრგვალების შედარებით მცირე რადიუსით მიიღწევა გოგორწველის ოპტიმალური კონტაქტი რელსის თავთან(სურ №16), რის გამოც მცირდება რელსის თავის და ქიმის ცვეთა, რადგან კონტაქტის წერტილი განთავსებულია ქიმის ფუძესთან. [24]

UIC 60 ტიპის რელსების ერთ-ერთი უპირატესობა P-65 ტიპის რელსებზე გამოიხატება რელსის თავის სიმაღლით, რაც საექსპლუატაციო უპირატესობის გარდა აისახება იმაში, რომ რელსის თავი ყელზე მიერთების ადგილზე უფრო დიდი დახრის და რელსის თავის სიმაღლის გამო შემცირებულია დამაბულობა. უფრო თხელი ყელი - 16.5მმ(P-65 – 18 მმ) ამცირებს მის მდგრადობას და სიხისტეს თუმცა ეს თვისება კომპერნსირდება ყელის ნაკლები სიმაღლით.



სურ. 16. გოგორწველის კონტაქტი რელსის თავთან

UIC 60 ტიპის რელსებზე რელსის ყელის მოხაზულობის რადიუსი ნაკლებია თუმცა ეს გავლენას არ ახდენს რელსის სხვა მახასიათებლებზე, რადგანაც ყელის სიმაღლეც ნაკლებია.


რელსის სტაბილურობა განისაზღვრება რელსის ფუძის სიგანის «B» და რელსის სიმაღლის «H» დამოკიდებულებაში: რაც უფრო მეტია «B/H» მით უფრო მდგრადია რელსი. P-65 ტიპის რელსებისთვის ეს შეფარდება ტოლია 0.833; UIC 60 ტიპის რელსებისთვის ეს შეფარდება ტოლია 0.872; P-50 ტიპის რელსებისთვის - 0.868. ე.ი. UIC 60 ტიპის რელსე უფრო მდგრადია.

მიმდინარე მოვლა შენახვის ხარჯების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორც ცნობილია დამოკიდებული რელსის ტიპთან. მთლიან სამუშაოებში: გადახრების, ჯდენების და თარაზოში დარღვევების აღმოსაფხვრელი წილი შეადგენს 35 %-ს, შპალების შეცვლის და რემონტის სამუშაოების წილი შეადგენს 37%-ს, რიხტირებაზე და ლიანდაგის გადაკერვა კი 28 %-ს. [24]

უკრაინის რკინიგზის «უკრაინზალეზნიცის» სალიანდაგო სამსახურის კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით UIC 60 ტიპის რელსების ლიანდაგზე გაწეული დანახარჯები ნაკლებია P-50 ტიპის რელსებიან ლიანდაგებზე გაწეული მოვლა-შენახვის ხარჯებზე და ცოტათი მეტის P-65 ტიპის რელსებიან ლიანდაგების ხარჯებზე.


ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარე UIC 60 ტიპის და (მიუხედავად ნაკლები წონისა (60.34 კგ/მ), ღერძზე მოსული დატვირთვისას 205 კნ, მოძრაობის სიჩქარე 60 კმ/სთ) P-65 ტიპის რელსებს (64.72 კგ/მ) აქვთ თანაბარი მონაცემები შესაბამისად UIC 60 ტიპის რელსები დაპროექტებულია უფრო წარმატებით - წონა ნაკლებად მოქმედებს დამაბულობაზე რელსის განივ კვეთში რაციონალურად განაწილებული წონის გამო.

UIC 60 ტიპის რელსების გამოყენების შემთხვევაში ლითონის ეკონომია 1კმ-ზე შეადგენს 8,8 ტონას.[24]



სურ. 17. დანახარჯები რელსების ტიპების შესაბამისად

მიუხედავდ იმისა, რომ ახალქალაქი - კარწახის ახლადმშენებარე რკინიგზის მონაკვეთის პროექტში ლიანდაგის ზედა ნაშენის მოწყობა გათვალისწინებული იყო P-65 ტიპის რელსებით, აღნიშნული უპირატესობების გამო მიღებული იქნა გადაწყვეტილება მათი UIC 60 ტიპის რელსებით შეცვლისა.



სურ. 18. P-65 და UIC 60 ტიპის რელსების განივი კვეთი

2.9. თერმიტული შედუღების მეთოდი, გამოგონების და განვითარების ისტორია

მსოფლიო პრაქტიკაში რელსების შედუღება წარმოებს სხვა და სხვა მეთოდებით. მათ შორის ელექტროკონტაქტური, ელექტრორკალური, რკალური ელექტროდის დნობით, თერმიტული, ინდუქციური წნეხის და აირით წნეხის მეთოდებით. რელსშემდუღებელი საწარმოებში შედუღება ძირითადად ხორციელდება ელექტროკონტაქტური მეთოდით. მხოლოდ ზოგიერთ ქვეყნებში ელექტროკონტაქტური შედუღებასთან ერთად გამოიყენება აირის წნეხის შედუღების მეთოდები. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რელსების შედუღება ხორციელდება მხოლოდ თერმიტული შედუღების მეთოდით. სამხრეთ აფრიკაში რელსების ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა არ ცილდება 70 °C.

შედუღება შეიძლება წარმოვიდგინოთ შეერთების მუდმივი მექანიკურ - ტექნოლოგიური პროცესი უწყვეტი სტრუქტურული კავშირების ჩამოყალიბებით. კონსტრუქციების და მასალების მრავალფეროვნება და სხვადასხვაობა გვაიძულებს გამოვიყენოთ შედუღების სხვა და სხვა მეთოდები. მათ შორისაა რელსების ალუმინო თერმიტული შედუღების მეთოდიც.

1893 წელს გერმანელმა ქიმიკოსმა ჰანს გოლდშმიდტმა გერმანიაში სუფთა ქრომის და მარგანეცის მისაღებად დაიწყო ალუმინოთერმიტული რეაქციის ექსპერიმენტები. თერმიტული პროცესის უნივერსალობის გამო სხვა გადაწყვეტილებებიც მალე იქნა მოძებნილი და გოლდშმიდტმა 1897 წელს ჩამოაყალიბა კორპორაცია (გერმანიის პატენტი №1085 1901 წელი), რომელიც თავდაპირველად აწარმოებდა სხმული ფოლადის დიდი ფირფიტების შედუღებას შემდეგ კი განხორციელდა პორველი რელსის პირაპირების შედუღება.[9]

1899 წელს პირაპირის შედუღება პირველად მოეწყო ქ. ესენში სადაც განთავსებული იყო გოლდშმიდტის კორპორაციის ოფისი. რკინიგზის კომპანიებმა მალე შეამჩნიეს აღნიშნული მეთოდის სიმარტივე და სავსე პირობებში მისი უალტერნატიობა. თერმტულმა მეთოდმა სწრაფად იწყო გავრცელება მთელ გერმანიაში, ხოლო 1904 წელს აშშ ქალაქ ნიუ-იორკში გოლდშმიდტმა გააგრძელა საქმიანობა.[9]

რუსეთში თერმიტული შედუღებას 140 წელწადს ითვლის. 1859 წელს რუსმა მეცნიერმა ნ.ნ. ბაკეტოვმა პირველად აღმოაჩინა ალუმინოთერმიტული პროცესი და აღწერა ალუმინოტერმიტული რეაქცია. რადაგანაც რეაქციის დროს გამოყოფა დიდი რაოდენობის სითბო ამიტომ ამ რეაქციას ეწოდა თერმიტული. ბერძნულად *terma* ნიშნავს სითბოს. [20]

მოსკოვში თერმიტული შედუღება პირველად გამოყენებული იქნა 1915 წელს როდესაც შედუღებული იქნა 126 პირაპირი. 1918 წელს შედუღებული იქნა 151 პირაპირი. [21]

ინჟინერმა მ.ა. კარასაევმა შეძლო აეთვისებინა და გამოეშვა ალუმინის ფხვნილი და თერმიტი. მასზე გაიცა საავტორო მოწმობა «ბოჭკოვანი ალუმინის მისაღები აპარატის», «ალუმინის დასაფქვავე ბურთულიანი წისქვილის» და «თერმიტის მისაღები ლუმელის» დასამზადებლად[21]

მომავალ წლებში მოსკოვის ტრამვაის ხაზებზე ალუმინოთერმიტული მეთოდით შედუღებული იქნა 100 000 პირაპირზე მეტი. შედუღება წარმოებდა ორი მეთოდით: კომბინირებული და განცალკავებული მეთოდით. გამომდინარე იქედან, რომ ამ უკნასკნელი მეთოდით შედუღებული პირაპირები ხშირად ზიანდებოდა 1931 წელს ამ მეთოდით შედუღება შეწყვიტეს. მის ნაცვლად დაიწყეს შუალედური ჩაღვენთის მეთოდის გამოყენება. მასთან ერთად დაიწყო თერმიტული შედუღების

«დუპლექსის»(შუალედური ჩალვენთის შემდგომი ჩაწნევა) მეთოდის გამოყენება, თუმცა ამ მეთოდზე მალე თქვეს უარი.

მას შემდეგ, რაც ყოფილი სსრკ-ს რკინიგზებზე პირაპირების შედუღების კონტაქტური მეთოდის დამკვიდრებამ თანდათანობით შეამცირა თერმიტული შედუღებების გამოყენება და საბოლოოდ ამოიღო წარმოებიდან. ხოლო აშშ და ევროპის ქვეყნებში თერმიტული მეთოდით პირაპირების შედუღება ფართოდაა გავრცელებული და ამ მეთოდით ადუღებენ არა მარტო საისრე გადამყვანის პირაპირებს არამედ მთავრ ლიანდაგებს, მათ შორის გადასარბენებზეც.[22]

ზოგ შემთხვევაში შედუღების მეთოდის არჩევასა და გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ მეთოდის წარმადობის და შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან, რასაც ხშირად მოაქვს არასასურველი შედეგი. ხარისხიანი შედუღების მისაღებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასალის შედუღების უნარიანობას ანუ მის თვისებებს შედუღების ზემოქმედების ქვეშ.

სარელსო ფოლადი შეიცავს დიდი რაოდენობის ნახშირბადს (0.69082%) და განეკუთვნება რთულ შესადუღებელ მასალებს, რომელიც შედუღების დროს მიდრეკილია ბზარების წარმოქმნისაკენ. ბზარები ისეთ ნაკეთობაში, როგორცაა რელსები - სატიკად აკრძალულია(დაუშვებელია) ვინაიდან ბზარებში კონცეტრირებულმა დამაბულობებმა ყოველ წუთს შესაძლებელია გამოიწვიოს რელსის დაშლა.

დღეის დღეობით მსოფლიოში პირაპირების შედუღება ძირითადად ხორციელდება ორი მეთოდით: პირაპირების შედუღების კონტაქტური და პირაპირების შედუღების ალუმინოთერმიტული მეთოდებით.

მიუხედავად კონტაქტური შედუღების მეთოდის ფართოდ გავრცელებისა მას სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას აქვს რიგი შეზღუდვები და უარყოფითი მხარეები. კერძოდ:

- ძვირადღირებული სალიანდაგო რელსშემდულებელი მანქანები;
- მატარებლების მოძრაობის დიდი ხნით შეწყვეტა ტექნიკის სამუშაო ადგილზე მისაყვანად და შემდეგ გადასარბენის გასანთავისუფლებლად;
- მუშა ხელის საკმაოდ დიდი რაოდენობა;


სამუშაო დროის დეფიციტი, რაც ზოგ შემთხვევებში იწვევს ტექნოლოგიური პროცესის დარღვევას და დაბალი ხარისხის შედულებული ნაკერის მიღება; საისრე გადამყვანის შედულების შეუძლებლობა.

კონტაქტური შედულების მეთოდთან შედარებით რელსების ალუმინოთერმიტული შედულების მეთოდს აქვს რიგი უპირატესობები:

- არ ჭირდება ძვირადღირებული მოწყობილობები;
- არ ჭირდება მუშაკების დიდი რაოდენობა, მაქსიმუმ 3 მუშაკი, რომელთა სწვლას სჭირდება გაცილებით ცოტა დრო;
- უშუალოდ პირაპირის შედულების პროცესს სჭირდება 28-30 წამი. ხოლო მთლიან პროცესს სჭირდება 45 წუთი;
- საისრე გადამყვანზე შესაძლებელია ერთდროულად განხორციელდეს რამოდენიმე პირაპირის შედულება;
- მოწყობილობების საერთო წონა არ აღემატება 350 – 400 კგ.

თერმიტული შედულება კონტაქტური შედულებისაგან განსხვავდება იმით, რომ თერმიტულ შედულების დროს პირაპირები ღრეჩო ამოივსე რეაქციის შედეგად მიღებული რკინით და არ იწვევს რელსებში დამატებით დამაბულობებს.

საქართველოს რკინიგზაზე რელსების შედულების ძირითად მეთოდს წარმოადგენს ელექტროკონტაქტური შედულების მეთოდი. ასეთი ნდობა კონტაქტური შედულების მიმართ გამოწვეულია იმით, რომ შედულებული ნაკერის სიმტკიცე ტოლია რელსის სიმტკიცისა, თუმცა საველე პირობებში შედულების შემდეგ არ ხდება შედულებული ნაკერის თერმულად დამუშავება.



სურ. 19. ტიგელი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ რეკომენდებული იქნა ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე რელსების შედუღება განხორციელებულიყო ალუმინო თერმიტული მეთოდის გამოყენებით, რაც მშენებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა და ამჟამად მთელ 25კმ-ან მონაკვეთზე და კარწახის სადგურში რელსების შედუღება მიმდინარეობს აღნიშნული მეთოდით.

2.10. გადასარბენის სიგრძის უპირაპირო სარელსო გადაბმების მოწყობა თერმიტული შედუღების მეთოდით

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში უპირაპირო ლიანდაგის კონსტრუქცია წარმოადგენს რკინიგზების ზედა ნაშენის ძირითად კონსტრუქციას და მისი განვითარება ამ ეტაპზე მიმდინარეობს გეგმისა და პროფილის რთულ პირობებში. მათ შორის რუსეთის რკინიგზების „უპირაპირო ლიანდაგის მოწყობის, მოვლა-შენახვის ინსტრუქციის,, (№ 2788პ დამტკიცებული 2012 წლის 29 დეკემბერს) შესაბამისად

უპირაპირო ლიანდაგის მოწყობის პირობები გაფართოებულია გეგმისა და გრძივი პროფილის პირობებში. კერძოდ:

პუნქტი 2.1.1. შესაბამისად მთავარ და მისაღებ გასაგზავნ ლიანდაგებზე უპირაპირო ლიანდაგი დაგება დასაშვებია სწორში და მრუდებში რადიუსით არანაკლები 250 მეტრისა.

პუნქტი 2.2.2. უპირაპირო ლიანდაგის უბნებზე გრძივი პროფილის დამრეცობის ქანობი შეუზღუდავია.

თუმცა უპირაპირო ლიანდაგის დაპროექტებისას საჭიროა გათავლისწინებული იქნას :

- გაძლიერებული დამუხრუჭების უბნების თავისებურებანი;
- ჩქაროსნული მაგისტრალური შერეული მოძრაობის უბნების თავისებურებანი.

სააქრთველოს რკინიგზაზე სიფრთხილით უდგებიან აღნიშნული პუნქტების რეალიზაციას და გადასარბენებზე უპირაპირო ლიანდაგის შეუზღუდავი სიგრძით მოწყობას.

ამის მიზეზად ჯერ ჯერობით რჩება უპირაპირო რელსების ოპტიმალური ჩამაგრების ტემპერატურაზე, რელსების ჩამაგრების ტექნოლოგიური პროცესის ფორმირება. ყველა გრძელი რელსებისათვის საჭიროა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შემუშავებული იქნას სპეცილური ტექნოლოგია, რომელიც კონკრეტულ მონაკვეთზე დაადგენს რელსების ჩამაგრების ოპტიმალურ ტემპერატურას, გადასარბენის სიგრძის და გეგმის შესაბამისად „ფანჯრების,, რაოდენობას, შედუღების ტექნოლოგიას, რელსების ჩამაგრების მეთოდებს, სარელსო გადაბმების იძულებით შეყვანას ჩამაგრების ოპტიმალურ ტემპერატურაში და ა.შ.

საინტერესოა, როგორ იმუშავებს უპირაპირო ლიანდაგი შეუზღუდავი სიგრძით, როდესაც «Pandrol fastklip»-ის სამაგრისები მიაღწევენ კაპიტალური შეკეთების ზღვარს ლიანდაგის ზედა ნაშენის ცალკეული მონაკვეთების, ერთეული ელემენტების დაზიანების

შემთხვევაში. განსაკუთრებით იმ მონაკვეთებზე, რომლებიც წარმოადგენენ გაძლიერებული დამუხრუჭების უბნებს, დაღმართების დაბოლოებებს, მცირე რადიუსიან მრუდებს, რომლებიც თავის თავად წარმოადგენენ საანკერო უბნებს.

სამწუხაროდ საქართველოს რკინიგზაზე ჯერ-ჯერობით ასეთი გამოცდილება და მონაცემები აღნიშნული სამაგრისებიანი ლიანდაგის ზედა ნაშენზე არ არსებობს.

ყველა შემთხვევაში რაც უფრო ნაკლებია ტემპერატურის წლიური რყევების ამპლიტუდა, მით მეტი რაოდენობის და სიგრძის რელსების შედუღებაა შესაძლებელი. გრძელ გვირაბებში და მეტრიპოლიტენებში ტემპერატურული პირობები ხელს უწყობს რელსების მთლიან შედუღებას დიდ სიგრძეზე, რაც ჯერ ჯერობით ვერ იქნა ათვისებული საქართველოს რკინიგზების გვირაბებში.

მიუხედავად იმისა, რომ გვირაბებში და განსაკუთრებით დიდ გვირაბებში (300 მ-ზე დიდი) ერთგვაროვანი გარემოა, ლიანდაგის ზედა ნაშენისათვის და გვირაბის მოპირკეთებისათვის პირობები არც თუ სახარბიელოა. კერძოდ: პირაპირებში დარტყმების გამო დროთა განმავლობაში ზიანდება გვირაბის მოპირკეთება და იზოლაცია, რის გამოც ძლიერდება ლიანდაგის ზედა ნაშენის ლითონის ელემენტების კოროზია. საზღვარგარეთის რკინიგზებზე გრძელი რელსების ფართოდ გამოყენება, გვირაბებში აღნიშნულმა ფაქტორებმა გამოიწვია.

რელსის ტემპერატურა გვირაბებში პრაქტიკულად ემთხვევა ჰაერის ტემპერატურას. 300 მეტრზე გრძელ გვირაბებში (წიფის გვირაბი) ზაფხულში, ჰაერის ტემპერატურა გვირაბში და მის მისასაველელებზე განსხვავდება 12-17°C. ამ დროს რელსის ტემპერატურა გვირაბის შუაში 22-27°C-თ ნაკლებია ჰაერის გარე ტემპერატურაზე. ზამთარში გრძელ გვირაბებში რელსის ტემპერატურა 5-7°C-ით მეტია გვირაბის გარე ჰაერის ტემპერატურაზე.

მცირე სიგრძის 300 მეტრზე ნაკლები გვირაბებში (მცხეთის გვირაბი) რელსის ტემპერატურა წლის განმავლობაში თითქმის არ განსხვავდება ჰაერის ტემპერატურაზე. აქედან გამომდინარე წლის განმავლობაში გრძელ გვირაბებში რელსის საანგარიშო ტემპერატურა არ სცილდება 20-25°C. ანუ არის მუდმივი, ხოლო მოკლე გვირაბებში კი ფაქტიურად იგივე რაც გვირაბს გარეთ.

გამომდინარე აქედან გვირაბები უპირაპირო ლიანდაგის მოწყობისათვის წარმოადგენენ იდეალურ პირობებს და მათი მოწყობით არსებითად უმჯობესდება გვირაბების ტექნიკური მდგომარეობა.

2.10.1. გადასარბენის სიგრძის უპირაპირო სარელსო გადაბმების მოწყობის პირობები

«Pandrol fastklipis» სამაგრისებიან შპალებზე გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის მოსაწყობად საჭიროა გათვალისწინებული იქნას გზის მფლობელობაში არსებული წნულების გადასატანი მოძრავი შემადგენლობის სიგრძე და განსაზღვრული იქნას გრძელი რელსების ჩაგებისა და მოვლა-შენახვის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები.

როგორც ცნობილია ლიანდაგში გახურების ან გაცივების გამო რელსების წნულები ცდილობენ შეიცვალონ სიგრძე, რასაც ეწინააღმდეგება შუალედი სარელსო სამაგრების მოჭერის ძალა. სიგრძის ცვლილების კომპენსირება ხორციელდება შედუღებული სარელსო გადაბმების დაბოლოებებზე. გადადგილებები მიმართულია გადაბმების ბოლოებიდან შუა ნაწილისაკენ(ამიტომაც ინსტრუქციის შესაბამისად უპირაპირო რელსების ჩამაგრება ხდება რელსის შუა ნაწილიდან ბოლოებისკენ) გადაბმების შუაში დიდ მონაკვეთზე გადადგილებები არ მიმდინარეობს. იმის გამო, რომ ლიანდაგში რელსების გადაადგილება შეზღუდულია ლიანდაგის კონსტრუქციის

გამო გადაადგილებები გადაიქმნებიან ძალებში, რომელთა არ რეალიზაციამ ზაფხულში შესაძლებელია გამოვლინდეს ლიანდაგის გაგდებაში, ხოლო ზამთარში არ შემდგარი გადაადგილება შესაძლებელია გამოვლინდეს პირაპირის გაწყვეტაში.

ლიანდაგის დამაგრების ოპტიმალური ტემპერატურა ანუ, როგორც მას ბრიტანეთში ემახიან ტემპერატურული სტრესისგან განთავისუფლების ტემპერატურა და რომელიც ბრიტანეთში გენერალური ინსტრუქციით მიღებულია 27°C (81°F) [14] არის წნულების ის მდგომარეობა, რომელშიც არ ვითარდება გადაადგილების გრძივი ძალები. ეს ტემპერატურა წარმოადგენს მთავრ ინფორმაციას უპირაპირო ლიანდაგის ჩაგების და მოვლა-შენახვის განხორციელებისათვის ანუ თუ ამ ტემპერატურაზე ჩვენ შევასუსტებთ (შევეშვებთ) სამაგრისებს რელსებმა არ უნდა გადაადგილდნენ. [18]

როგორც ცხრილი № 6-დან ჩანს «КБ» სამაგრების არა მუდმივი (ცვალებადი) ტექნიკური პარამეტრების გამო სამუშაოების ჩატარებლად სარელსო გადაბმების გადაადგილების შეზღუდვა შეუძლებელია და ამიტომ სარელსო გადაბმების სიგრძის 800 მეტრამდე შეზღუდვა დადგენილია «ფანჯრებში» ლიანდაგის ზედა ნაშენის მიმდინარე მოვლა შენახვის სამუშაოების სწრაფი ჩატარებისათვის.

«Pandrol fastclip»-ის სამაგრისებიან შპალებზე სამაგრისების პარამეტრებიდან გამომდინარე აღნიშნული გადაადგილებები უგულებელყოფილია.

ანუ თუ ელექტროკონტაქტური შედულების მეთოდით შედულებულ რელსებს ჩავაგებთ არსებული ინსტრუქციის შესაბამისად ჩამაგრების ოპტიმალურ ტემპერატურაზე და ამ რელსებს გამათანაბრებელი რელსების გარეშე ან ერთი სტანდარტული რელსით შევადულებთ თერმიტული შედულების მეთოდით შევძლებთ, გადასარბენის სიგრძის უპირაპირო ლიანდაგის მოწყობას რელსების ჩამაგრების ოპტიმალურ რეჟიმში. თერმიტული მეთოდით შედულება

არ იწვევს რელსებში დამატებითი ძალების წარმოქმნას და შესაბამისად არ საჭიროებს რელსის ახსნას, როგორც ეს არის გათვალისწინებული კონტაქტური შედუღებისას. (არაუმეტეს 120 მეტრი).

აღნიშნული პრინციპით შესაძლებელია დეფექტური რელსის ამოჭრა მატარებლების მოძრაობის ხანგძლივი შეზღუდვის გარეშე.

მოგეხსენებათ, შედუღებული პირაპირები ექსპლუატაციის პროცესში წარმოადგენენ დაზიანების გაძლიერებულ ადგილებს. ეს გამოწვეულია შედუღების შედეგად პირაპირის ზონაში ლითონის მექანიკური თვისებების ცვლილებების გამო, რომელიც ახლოსა ლითონის დენადობის ზღვართან, ხოლო შედუღებული პირაპირი წარმოადგენს დააძაბულობის კონცენტრაციის ადგილს.[18]

აღნიშნული ფაქტორები მინიმუმამდეა დაყვანილი ალუმინო თერმიტული მეთოდით შედუღებულ პირაპირებში.

2.10.2. გადასარბენის სიგრძის უპირაპირო სარელსო გადაბმების მოწყობის სამუშაოების თანმიმდევრობა

უპირაპირო ლიანდაგის სიგრძე განისაზღვრება პროექტით, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.


სწორში და მრუდში $R > 600$ მეტრზე, უპირაპირო რელსები 200 და 100 მეტრის სიგრძის მზადდება რელსშემდუღებულ საწარმოებში და შემდეგ სპეციალური შემადგენლობებით მიაქვთ უპირაპირო ლიანდაგის შეცვლის ადგილზე.

შედუღებული რელსები გადასარბენზე მიეწოდება ორი სტანდარტული ხვრეტით. რელსების ჩამაგრება ოპტიმალური ჩამაგრების ტემპერატურაზე მიიღწევა იძულებით, ჰიდრავლიკური ხელსაწყოების გამოყენებით რელსების სიგრძეების შეცვლის ხარჯზე.

რელსების იძულებით ჩამაგრების გართულების შემთხვევაში რელსები გამოიკიდება სპეციალურ გორგოლაჭებზე. (სურ.22)

სამუშაოს დაწყების წინ უნდა დაანგარიშდეს რელსების დაგრძელება ფორმულით №1 [18]

$$\Delta L = \alpha \times L \times \Delta t + \Delta L \text{ მარაგი} \quad (1)$$



სურ.22. «Vortok International»- რელსის გადასაგორებელი გორგოლაჭები

სადაც :

- $\alpha = 0,0000118$ – არის სარელსო ლითონის ტემპერატურული გაფართოების კოეფიციენტი;
- L – წნულის სიგრძე მმ;
- Δt – სხვაობა ჩამაგრების ოპტიმალური ტემპერატურასა და ჩამაგრების ტემპერატურას შორის;
